ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 8 ივნისი, 2023 №111 (9147) ფასი: 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დაკავებულია 15 პირი თბილისსა და რეგიონებში, ამოღებულია უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი



გვ.5

# „ივანიშვილს ეშინია უკრაინის გამარჯვების, უკრაინის ხელისუფლებას ნაცმოძრაობის ფილიალად აღიქვამს“




გვ.2



დავით ზურაბიშვილი: „პრეზიდენტი ყველანაირად ერიდება ბიძინა ივანიშვილთან დაპირისპირებას... თუკი სალომე დაუპირისპირდება ივანიშვილს, მაშინ უნდა შეიწყალოს გვარამია, რომელიც აბსოლუტურად უდანაშაულოა“



გვ.3

ლაშა ჩხარტიშვილი: „პარლამენტის დერეფნებსა და ბუფეტში ნებივრობით არაფერი არ გამოვა... ივანიშვილი კიდევ ერთხელ ცდილობს, საკუთარი პოლიტიკური დღის წესრიგი შემოგვთავაზოს“

# „ხაზეიშვილის იდეა, ყველა ნაცების ქოლგის ქვეშ, ივანიშვილის გამარჯვების ფორმულაა“

გიორგი ბოტკოველი: „ივანიშვილის ინტერესია, აკონტროლებდეს ყველა იმ სფეროს, სადაც იშოვის მეტ ფულს და მოსახლეობას ბოლომდე გაალარიბებს“



გვ.3



გვ.4

შალვა პაპუაშვილი: „დროა, ევროკავშირმა საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებით გრძელვადიან მშვიდობაზე იზრუნოს“

ირაკლი ღარიბაშვილი სამხრეთ კავკასიაში მსოფლიო ბანკის ახალ რეგიონულ დირექტორს შეხვდა



გვ.3



გვ.4

„კონტრშეტევის აქტიური ფაზის დროს რუსების სარაკეტო დარტყმები შეჩერდება“



გვ.2

ზუგდიდის რეფერალურ საავადმყოფოში 5 წლის ბავშვი მოულოდნელად გარდაიცვალა



გვ.6

პრემია „საბას“ მინიჭება მკითხველსაც შეეძლება

ევრომასპინძლობისთვის 115 მილიონი ლარი დაიხარჯა



გვ.7

5 რას ყვებიან ყოფილი ქმრის მიერ სასტიკად მოკლული ქალის ოჯახის წევრები

5 „ძალიან მძიმე ფსიქიკური პრობლემები აქვს, ფსიქიატრიულ კლინიკაშიც იყო მოთავსებული“

5 ბერები დათვრნენ და მონასტრის ქონების გაყიდვა სცადეს

6 კახოვკის ჰესი ააფეთქეს

# „ივანიშვილს ეშინია უკრაინის გამარჯვების, უკრაინის ხელისუფლებას ნაცმოძრაობის ფილიალად აღიქვამს“

## დავით ზურაბიშვილი: „პრეზიდენტი ყველანაირად ერიდება ბიძინა ივანიშვილთან დაპირისპირებას... თუკი სალომე დაუპირისპირდება ივანიშვილს, მაშინ უნდა შეიწყალოს გვარამია, რომელიც აბსოლუტურად უდანაშაულოა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს დავით ზურაბიშვილი პასუხობს.



***– ბატონო დავით, ნაციონალური მოძრაობა მთელ ოპოზიციას მის გარშემო გაერთიანებისკენ მოუწოდებს. ვისმენთ შეფასებებს, რომ ამით ნაცმოძრაობა „ოცნების“ წისქვილზე ასხამს წყალს. როდესაც ნაციონალურ მოძრაობას აქვს ამბიცია, რომ კვლავ ხელისუფლებაში სურს დაბრუნება, ეს არის თუ არა „ქართული ოცნების“ თამაში?***

– არა, რა თქმა უნდა, არანაირი „ოცნების“ თამაში ეს არ არის. ნაციონალურ მოძრაობას, რაც არჩევნები წააგო, იმ დღიდან ის მიზანი აქვს, რომ ისევ მობრუნდეს ხელისუფლებაში. ეს ახალი არ არის. ვინც არც „ოცნების“ მომხრეა და არც ნაცმოძრაობის, ის არის საკირკიტო, თორემ, ნაცმოძრაობას რომ ხელისუფლებაში მობრუნება უნდა, ეს ცნობილია. ის, რომ ნაცმოძრაობა იყოს მთავარი გამაერთიანებელი, ვერ ვიტყვი, რომ „ოცნების“ თამაშია, მაგრამ ეს „ოცნებას“ აწყობს, მათთვის ძალიან ხელსაყრელია.

***– ეს რამდენად სწორი სტრატეგიაა ოპოზიციისთვის?***

– ნაციონალური მოძრაობისთვის ეს ერთადერთი სტრატეგიაა. მათ არ მიაჩნიათ, რომ ეს „ოცნებისთვის“ არის ხელსაყრელი, პირიქით ჰგონიათ. ეს ჩვენ გვგონია, რომ ხელსაყრელია. რატომ არის „ოცნებისთვის“ ხელსაყრელი? ჩვენ თუ გადავხედავთ, ყველა არჩევნებში ხელისუფლების მთავარი მიზანი არის პოლარიზაცია, შუას გაკრეფა და ორ დაპირისპირებულ ძალად ნაციონალური მოძრაობისა და „ქართული ოცნების“ წარმოჩენა. ხელისუფლების მთავარი განაცხადი ყველა არჩევნების წინ იყო ის, რომ ჩვენ შეიძლება არა ვართ იდეალურები, მაგრამ აი ნაციონალური მოძრაობაა საფრთხე და არ დავუშვებთ მათ მოსვლას. ეს მუშაობდა ყოველთვის. თუ ამას დავუმატებთ ხელისუფლების ადმინისტრაციულ რესურსებსა და დანარჩენ ბერკეტებს, რაც ხელისუფლებაში მყოფ ძალას აქვს, ეს სულ მუშაობდა.

***– ოპოზიციური პარტიებიდან „სტრატეგია აღმაშენებელს“ მოსწონს ხაბეიშვილის იდეა, რომელიც ოპოზიციურ ერთობას უკავშირდება.***

– „სტრატეგია აღმაშენებელს“ უნდა მოსწონდეს, იმიტომ, რომ „სტრატეგია აღმაშენებელი“ და კიდევ რამდენიმე პარტია დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან პოლიტიკური დღის წესრიგით, ხელისუფლების მიმართ დამოკიდებულებითა და პროცესების ხედვით. პრინციპში, ეს პარტიები თუ ნაციონალური მოძრაობის გარშემო დაჯგუფდებიან, ბუნებრივიც იქნება. აი, ვინც ნაცმოძრაობის მსგავსი არ არის და განსხვავებული დღის წესრიგიც აქვს, ის რას იზამს, ესაა საკითხავი.

***– ხედავთ რაიმე კონტურებს მათი გაერთიანების?***

– გეტყვით, მათი მდგომარეობა რთული რატომ არის. ძალიან ხშირად ამ პარტიებს მოსდით შემდეგი სახის შეცდომა, მათდა უნებურად აღმოჩნდებიან ხოლმე ნაციონალური მოძრაობის გავლენის ქვეშ და მათი ამომრჩევლისთვის მათი გამონათქვამები ხშირად ისევე ჟღერს, როგორც ნაცმოძრაობის, ანუ ისინი არ უკვირდებიან იმას, რომ ყოველთვის გამიჯნული უნდა იყვნენ და მუდამ განსხვავებულად აღიქმებოდნენ ნაციონალური მოძრაობისგან. ამის აუცილებლობა შეიძლება არ იყოს სხვა სიტუაციაში, მაგრამ აუცილებელია ახლა, როდესაც პოლარიზებულია მედიაატმოსფეროც, ანუ ნაციონალურ მოძრაობას აქვს ძლიერი მედიასაშუალებები, ყველაფერთან ერთად. აქ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ იმ პოლიტიკური ძალის ყველა განცხადება აბსოლუტურად ყველა თემაზე, რომელიც ცდილობს, ნაციონალური მოძრაობისგან დამოუკიდებლად და განცალკევებულად აღიქმებოდეს, უნდა იყოს განსხვავებული ნაცმოძრაობის განცხადებებისგან.

ძალიან მარტივად ვამბობ, ნაცმოძრაობამ რომ თქვას, ხვალ ოთხშაბათიაო, შენ უნდა თქვა, რომ ხვალ იქნება ხუთშაბათი. ასეთ დონეზეც კი უნდა შეეცადონ, რომ არ გაიმეორონ მათი ნათქვამი. ამ დეტალებზე შეიძლება ბევრს გაეღიმოს, მაგრამ ეს ჯდება მეხსიერებაში, არაცნობიერში და დამთავრებულია იქ ლაპარაკი, როგორც კი შენ იმავე ფრაზას იტყვი, როგორც ნაცმოძრაობის ლიდერშიპი ლაპარაკობს.

***– ხაბეიშვილი ყველა განცხადებაში სააკაშვილს ახსენებს. რამდენად ცდილობენ, რომ ისევ მიშას დახმარებით მოიპოვონ ხმები?***

– ნაციონალური მოძრაობა, სადაც არ უნდა წავიდეს, ბოლოს მაინც მივა სააკაშვილთან. ნაციონალური მოძრაობის რეიტინგის დიდი ნაწილი, რა თქმა უნდა, არის სააკაშვილის პიროვნული რეიტინგი. ახლა თვითონ ხაბეიშვილი რომ ვერ არის ისეთი ლიდერი, რომელსაც ხალხი გაჰყვება, ამას რად უნდა ბევრი ლაპარაკი. ამას ყველა ვხედავთ. ბუნებრივია მათი მცდელობა, რომ ჩააბან სააკაშვილიც საქმეში. ვისაც არ უნდა ნაცმოძრაობის ქოლგის ქვეშ მოხვედრა, პრინციპულად უნდა გაემიჯნოს მას სრულად და მთლიანად. ძალიან მკაფიო უნდა იყოს ეს განსხვავება. ეს დღევანდელი რეალობისთვის მნიშვნელოვანია, მნიშვნელოვანია იმ ამომრჩევლისთვის, რომელსაც აღარ მოსწონს „ოცნება“, მაგრამ კვლავ ეშინია ნაციონალური მოძრაობის. დიდი ეჭვი მაქვს. რომ ასეთი ამომრჩეველი არ არის ცოტა. ამ ამომრჩევლის მოზიდვას ვერანაირად ვერ მოახერხებ, თუ შენ აღმოჩნდი ნაცმოძრაობასთან ალიანსში. თუ ნაციონალურ მოძრაობას აყენებ „ქართულ ოცნებაზე“ მაღლა, არასდროს ეს ამომრჩეველი შენკენ არ წამოვა!

***– რა უნდა გაკეთდეს?***

– არანაციონალურმა პარტიებმა უნდა იფიქრონ გაერთიანებაზე, გაძლიერებაზე, გახდნენ ნაციონალური მოძრაობის რეიტინგის ტოლფარდი. ორნიშნა რეიტინგი მაინც უნდა ჰქონდეთ. მერე აღარ იქნებიან აღქმულები ისე, რომ აი ამათ მიშა მოჰყავთ. ტოლფარდი ძალა არ ჩანს ოპოზიციურ ფლანგზე. მხოლოდ ნაციონალური მოძრაობაა. 3, 4, 5 ან 6%, ეს არაფერი არ არის! აი, ასეთ რეალობაში ვართ, 10-15%-მდე სანამ არ ავა ვინმე და ვხედავთ, რომ ცალკე პარტია ვერ ადის ვერცერთი. ასეთ დროს უნდა გაერთიანდნენ ერთმანეთის მსგავსი პარტიები, გვერდზე გადადონ ძველი წყენები და დაინახონ ის რეალობა, რომ, გაერთიანების გარდა, არ არის შანსი ამ ხელისუფლების შეცვლისა. რა თქმა უნდა, მინუს ნაციონალები და მისი განშტოებები! ეს თუ ვერ დაინახეს, მაშინ დარჩება ისევ ეს ხელისუფლება ჩვეულებრივად.

***– რას იტყვით ხელისუფლების პოზიციაზე, რა აქვს ჩაფიქრებული „ქართულ ოცნებას“?***

– „ქართულ ოცნებას“ არაფერი არა აქვს ჩაფიქრებული. „ქართული ოცნება“ – არ არსებობს ასეთი პარტია! არის ბიძინა ივანიშვილი. ერთი ადამიანია. იმ ერთი ადამიანის მიზნებსა და მოტივაციაში უნდა გაერკვე, თუ გინდა, რომ გაიგო, „ქართული ოცნება“ რას აპირებს. თუ ასე არ შეხედე საკითხს, სწორ დასკვნას ვერასდროს ვერ გამოიტან. ბიძინა ივანიშვილის პრობლემა ქვეყნის დიდ პრობლემადაც იქცა და ეს არის ის, რომ ბიძინა ივანიშვილისთვის პოლიტიკა არის მთლიანად ძალაუფლების ტექნოლოგია. მისთვის პოლიტიკა დაცლილია ყოველგვარი ღირებულებებისა და იდეოლოგიისგან. მისთვის პოლიტიკური ურთიერთობა არის ძალაუფლების ტექნოლოგია. მოკლედ, ის უნდა ფლობდეს სრულ ძალაუფლებას. აი, ეს არის მისი ერთადერთი მიზანი და ყველაფერი ექვემდებარება ამას.




***– ზოგიერთი ექსპერტისგან ვისმენთ შეფასებებს, რომ ივანიშვილს ხელიდან გაექცა მართვის სადავეები.***

– არაფერიც არ გაჰქცევია. ივანიშვილმა არასწორი გათვლა გააკეთა. როგორც კი დაიწყო ომი უკრაინაში, მან ჩათვალა, რომ რუსეთი მოიგებს და დღესაც ვერ დაუჯერებია, რომ ასე არ არის. მეორე მომენტიც არის – მან არა მარტო ჩათვალა, არამედ მას ასე უნდა, ანუ მას ეშინია უკრაინის გამარჯვების. უკრაინის ხელისუფლებას ის აღიქვამს ნაცმოძრაობის ფილიალად. ამას არ ვხუმრობ, სერიოზულად ვამბობ. უკრაინის ხელისუფლებაზე ამბობენ, რომ ეს არის იგივე ნაცმოძრაობა. ივანიშვილს ეშინია უკრაინის წარმატების. ის ფიქრობს, რომ ეს გააძლიერებს ნაცმოძრაობას მის ქვეყანაში და მას დაამხობენ. ნატოსა და დასავლეთის ძლიერი მხარდაჭერა უკრაინის მიმართ ბიძინასთვის ნიშნავს, რომ ყველანი ნაცებს უჭერენ მხარს. ასე უყურებს ეს კაცი.

***– ამიტომ აღიქვამს მტრად ნატოსაც და ევროკავშირსაც?***

– რა თქმა უნდა, ასეა. 2015 წელს, თუ გახსოვთ, ბიძინა ივანიშვილი ჩაერია და პარლამენტს ანტიდისკრიმინაციული კანონი მიაღებინა. მაშინ არ ჰქონია ევროპისა და ამერიკის შიში. ახლა ეს შიშები აქვს. ამიტომ გადაიხარა რუსეთისკენ. თუ თქვენ აპირებთ, რომ თავზე ნაცები დამასვათ და მე გადამაგდოთ, მაშინ მე შევეკვრები პუტინსო! პირდაპირ ამას ეუბნება.

***– მიზანმიმართულად აზიანებენ პროცესს, რომ არ მივიღოთ კანდიდატის სტატუსი?***

– მთლად ასე მიზანმიმართული პროცესი რომ იყოს, არა მგონია. ბიძინა ივანიშვილი პრაგმატული ადამიანიც არის, იმასაც ხედავს, რომ რუსეთის საქმე მთლად კარგად არ მიდის, ამიტომ, როგორც მას სჩვევია, ის რაღაც სათადარიგო ვარიანტებსაც იტოვებს. თუმცა ეს სათადარიგო ვარიანტები ძალიან სუსტია. ივანიშვილისთვის სტატუსის მიღება-არმიღება არ არის პრინციპული. თუ არ მიიღებს, შეეცდება, რომ ეს დააბრალოს ოპოზიციას და ალბათ წარმატებით დააბრალებს. ვცდილობ, ჩვენს ექსპერტებსა და პოლიტიკოსებსაც ავუხსნა ხოლმე ეს საკითხი და ხშირად არ ესმით. მნიშვნელობა იმას კი არა აქვს, ხელისუფლება რას ლაპარაკობს, მნიშვნელობა იმას აქვს, ამას ხალხი როგორ გაიგებს. ის მოყოყმანე ამომრჩეველი, პროევროპელი და შუაშისტი როგორ გაიგებს ამ ყველაფერს, ეს არის მნიშვნელოვანი, თორემ, ნაცმოძრაობის ამომრჩეველი როგორ გაიგებს, ამას საერთოდ არა აქვს მნიშვნელობა.

რაც არ უნდა გააკეთოს ამ ხელისუფლებამ, სულ რომ ოქროს მთა ჩამოიტანონ, მაინც იტყვიან, ნეხვიაო. ხელისუფლება ყველანაირად შეეცდება, ყველაფერი ცუდი შესტენოს ოპოზიციას. ჩავარდება სტატუსი – შესტენის ოპოზიციას, მივიღებთ სტატუსს – შეეცდება, მიიწეროს თვითონ. ოპოზიცია უნდა შეეწინააღმდეგოს ამ პროცესს, არ უნდა გააჩინოს ის განცდა, რომ სტატუსის არმიღება მათი ბრალია. არც ის განცდა უნდა გააჩინოს, რომ სტატუსი თუ მივიღეთ, არიქა, ივანიშვილი აღიარა ევროპამ. ზოგიერთი ოპოზიციონერი პირდაპირ ცდილობს, რომ ეს ასე გაკეთდეს.

***– რას იტყვით პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილზე, მასზე დაკარგა გავლენა?***

– არა მგონია, რომ დაკარგული აქვს პრეზიდენტზე გავლენა. პრეზიდენტი ყველანაირად ერიდება ბიძინა ივანიშვილთან დაპირისპირებას, ყოველ შემთხვევაში – ამ ეტაპზე. ამის მთავარი მიზეზი არის სწორედ სტატუსის მიღება. მე ვფიქრობ, რომ სალომე ზურაბიშვილისთვის სტატუსის მიღება ძალიან მნიშვნელოვანია. თუკი სალომე დაუპირისპირდება ივანიშვილს, მაშინ უნდა შეიწყალოს გვარამია, რომელიც აბსოლუტურად უდანაშაულოა. ტყუილად ზის ეს ადამიანი. სალომემ რომ გვარამია შეიწყალოს, შესაძლოა ივანიშვილს ამაზე ძალიან მწვავე რეაქცია ჰქონდეს და, როცა ივანიშვილი გაბრაზებული და ნერვებაშლილია, ისეთ ბრძანებს გასცემს, რომელსაც მისი ხელის ბიჭები უსიტყვოდ ასრულებენ და ჩვენ შეიძლება გადაგვაგდოს ძალიან ცუდ სიტუაციაში. სტატუსის ამბავი კი არა, შეიძლება, ბევრად უარესი მოგვივიდეს. ამიტომ, სანამ სტატუსის ამბავი არ გაირკვევა, სალომე ზურაბიშვილი არ დაუპირისპირდება ბიძინა ივანიშვილს. ეს ცალსახად ასეა. სტატუსის მოცემა-არმოცემას რაც შეეხება, მე უფრო იქით ვიხრები, რომ კატეგორიულ უარს არ გვეტყვიან და ამას გადაგვივადებენ 2024 წლის არჩევნებისთვის, ანუ დაგვაკვირდებიან, რას ვიზამთ არჩევნებზე.

# ზუგდიდის რეფერალურ საავადმყოფოში 5 წლის ბავშვი მოულოდნელად გარდაიცვალა




უბედური შემთხვევა სამეგრელოში – ზუგდიდის წმინდა ლუკას სახელობის რეფერალურ საავადმყოფოში 5 წლის ბავშვი გარდაიცვალა.

ბავშვი საავადმყოფოში წუხელ უგონო მდგომარეობაში მყოფი შეიყვანეს და, საათნახევრიანი რეანიმაციული ღონისძიებების მიუხედავად, ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

სიკვდილის ზუსტი მიზეზი უცნობია. ჩატარდა ექსპერტიზაც, თუმცა მედიკოსები ვერაფერს ამბობენ, რადგან მათ მცირეწლოვნის სრულყოფილი გამოკვლევა ვერ მოასწრეს.

ბავშვი ზუგდიდის საავადმყოფოში წალენჯიხიდან გადაიყვანეს, სადაც ის მშობლებთან ერთად ბაბუის გასვენებაში იმყოფებოდა და გონებაც იქ დაკარგა.

იქამდე კი 2 დღით ადრე, გავრცელებული ინფორმაციით, მცირეწლოვანი გურიაში საქანელადან გადმოვარდა. ოჯახმა შემოწმებისთვის ექიმთანაც მიიყვანა, თუმცა მალევე გაწერეს. არსებული ცნობებით, ახლობლები გარდაცვალებას სწორედ ამ ფაქტს უკავშირებენ, რადგან, მათივე თქმით, ბავშვი სრულიად ჯანმრთელი იყო და არაფერი აწუხებდა. მეორე ვერსიით კი არ გამოირიცხება კვებითი ინტოქსიკაცია.


ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ახალნიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ-ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690


რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ხაბეიშვილის იდეა, ყველა ნაცების ქოლგის ქვეშ, ივანიშვილის გამარჯვების ფორმულაა“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „პარლამენტის დერეფნებსა და ბუფეტში ნებივრობით არაფერი არ გამოვა... ივანიშვილი კიდევ ერთხელ ცდილობს, საკუთარი პოლიტიკური დღის წესრიგი შემოგვთავაზოს“

ნათია ხურცილავა

**„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი, უფლებადამცველი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ლაშა, „ქართული ოცნებისა“ და პრეზიდენტის მორიგი დაპირისპირება რით შეიძლება დასრულდეს? ვოლსკიმ განაცხადა, რომ იმპიჩმენტი არ იქნება.***

– სიმართლე გითხრათ, ჩემთვის ეს დაპირისპირება არის ივანიშვილის ორ ხელს შორის დაპირისპირება. ბევრად უფრო რთული და მძიმე პრობლემების წინაშე დგას ქვეყანა, ვიდრე ეს დაპირისპირებაა. ამაში ახალი არაფერია, სულ ამ პრეზიდენტი განცხადებებიდან ქმედებებზე არ გადავა. ვეტო არის მის ხელთ ბერკეტი, მაგრამ ამ ბერკეტს „ოცნება“ დაძლევს. ესეც ცალსახაა.

უმთავრესი პრობლემაა, ქვეყანამ მიიღოს კანდიდატის სტატუსი და როგორმე გადავრჩეთ საბოლოოდ რუსეთის უკანა ბოსტნად გაფორმებას, თუ უკვე არ ვართ რუსეთის ხელში.



კადიროველების თარეშის შემდეგ, მას შემდეგ, რაც პუტინს, როცა უნდა, გაგვიცინებს და, როცა უნდა, დაგვიღრიალებს, ქვეყნის სუვერენიტეტის ყოფნა-არყოფნის საკითხი ასე აქტუალური არასდროს არ ყოფილა. ამიტომ ამ კულუარულ დაპირისპირებაზე, არა მგონია, საუბარი ღირდეს. ჩემთვის ეს უფრო ირმა ინაშვილის ბრძოლას ჰგავს, რომელიც კობახიძისა და ღარიბაშვილის დიქტატურას ებრძოდა და არა ბიძინა ივანიშვილს, საიდანაც მოდიოდა ეს ყველაფერი.

ეროვნული ბანკი არც აქამდე ყოფილა დამოუკიდებელი და არც ამის შემდეგ იქნება. ამ ქვეყანაში დამოუკიდებელი ეროვნული ბანკი, დამოუკიდებელი მოსამართლეები, დამოუკიდებელი პროკურორები, დამოუკიდებელი პარლამენტი, მთავრობა, უბრალოდ, წარმოუდგენელია ამ ხელისუფლების პირობებში. სხვათა შორის, დამოუკიდებელი და დაბალანსებული ხელისუფლება, რომელიც რეალურად იქნება ევროპული ღირებულებების, წარმოუდგენელია ამ პირობებში.



***– კონკრეტულად რას გულისხმობთ?***

– იმას, რომ ერთი თავკომბალა პარტია ან ერთი ბლოკი, რომელიც მხოლოდ იმაზე იქნება ორიენტირებული, რომ სხვები გაანადგუროს და თვითონ ჩაიგდოს მთლიანად ძალაუფლება, ამას, უბრალოდ, არ გააკეთებს. დაბალანსებული, ერთმანეთის მაკონტროლებელი მთავრობა მხოლოდ სხვადასხვა პარტიის გამარჯვებით მიიღწევა.

***– გამოდის, ხაბეიშვილის იდეა – ყველა ნაციონალების ქოლგის ქვეშ – თქვენთვის მისაღები არ არის.***

– არათუ მისაღები არ არის, სწორედ ეს არის ის, რაც სურს ივანიშვილს. ხაბეიშვილის ეს იდეა არის აბსურდი და მეტი არაფერი. ყველა ნაცების ქოლგის ქვეშ – ეს არის ივანიშვილის კიდევ ერთხელ გამარჯვების ფორმულა. შეიძლება, ეს უნდათ ნაციონალებს. ჩვენ ეს არ გვინდა.

ივანიშვილი კიდევ ერთხელ ცდილობს, საკუთარი პოლიტიკური დღის წესრიგი შემოგვთავაზოს ყველას ერთ ქვაბში ჩაყრითა და მოხარშვით. მერე ყველას ნაციონალებს დაგვიძახებს და ასე გაიმარჯვებს კიდევ ერთხელ. არადა, ყველაზე დიდი ნაციონალები საკუთარ გუნდში მოიკითხოს. კალაძე ხომ ყველაზე დიდი ნაციონალია. კალაძე, მიშას მეხოტბე, რომელიც მხოლოდ საკუთარი ჯიბისთვის იბრძოდა ყველა დროში. ამიტომ ვამბობ, რომ ეს ფორმულა დიდი მარცხისთვის არის განწირული.

***– რაშია გამოსავალი?***

– ცალ-ცალკე პარტიებში, რომლებიც შეინარჩუნებენ თავიანთ ინდივიდუალობას და სწორად მიიტანენ სათქმელს ამომრჩევლამდე. 2024 წლის არჩევნები არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადაიქცეს შეჯიბრებად ნაცებსა და „ოცნებას“ შორის. ასეთ შემთხვევაში „ქოცები“ გარდაუვლად მოიგებენ. ამით მხოლოდ ივანიშვილი მოიგებს, ყველა დანარჩენი წააგებს. რაც მთავარია, ქვეყანა, ხალხი წააგებს.

ახლა მთავარია, ყველამ გააცნობიეროს, რომ ასეთი მაღალი საარჩევნო ბარიერი აწყობთ მხოლოდ ნაციონალურ მოძრაობასა და „ქართულ ოცნებას“. ამიტომ პირველი, რაც უნდა მოვითხოვოთ, არის საარჩევნო ბარიერის დაწევა. ან უნდა იყოს ერთპროცენტიანი, ან ნულოვანი ბარიერი, რომ ისევ ერთი პარტიის დიქტატი არ მივიღოთ ქვეყანაში. ბარიერს თავისი სურვილითა და ნებით რომ არ დასწევს „ოცნება“, ესეც არ უნდა იყოს რთული მისახვედრი. ქუჩაში გასვლა და სერიოზული ბრძოლაა საჭირო. ხალხთან ერთად უნდა გავიდეთ ქუჩაში და უნდა ვიბრძოლოთ სამართლიანი და ბუნებრივბარიერიანი არჩევნებისთვის. პარლამენტის დერეფნებსა და ბუფეტში ნებივრობით არაფერი არ გამოვა. ამდენი კი უნდა ესმოდეს საპარლამენტო ოპოზიციას, რომელიც იქ გაიჭედა და ვერა და ვერ გამოვიდა. ხუთპროცენტიანი ბარიერი ნიშნავს ქოც-ნაცურ არჩევნებს, მათ დაპირისპირებას, ყველა დანარჩენის კი ქუჩაში დატოვებას. არა მგონია, ამას ვერ ხვდებოდეს ეს ოპოზიცია. თუ ხვდებიან, რატომ არ იბრძვიან, ესეც გაუგებარია.

სერიოზული ბრძოლა გველის და ამისთვის მზადება ახლავე უნდა დავიწყოთ. ამაზე უნდა ვიფიქროთ და არა ნაცებთან შეზავებასა და ივანიშვილის კიდევ ერთხელ გადარჩენაზე.

# პაატა იმნაძე: „ჩუტყვავილა არის, ბევრი შემთხვევაა, მაგრამ ეს ჩვეულებრივი ამბავია“

– ჩუტყვავილა არის, ბევრი შემთხვევაა, მაგრამ ეს არის ჩვეულებრივი ამბავი – ჩუტყვავილა ყოველ მესამე წელიწადს არის ხოლმე ძალიან ბევრი – ჩვეულებრივ, ერთი წელია მატების პერიოდი, – ამის შესახებ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე პაატა იმნაძემ განაცხადა.

მისივე თქმით, ჩუტყვავილას შემთხვევები ბავშვებში მსუბუქად მიმდინარეობს.

– გავრცელებული ინფორმაცია, რომ ჩუტყვავილა მძვინვარებს, ტყუილია. ჩუტყვავილა პერიოდულად მატულობს ხოლმე. არის წლები, როცა ბევრია, არის წლები, როცა ცოტაა. ახლა ჩუტყვავილას მატების პერიოდში ვართ. ჩუტყვავილა დიდებში უფრო რთულად მიმდინარეობს, ხოლო ბავშვებში, საბედნიეროდ მსუბუქად გვხვდება. ეს შეიძლება ერთი წელიწადი გაგრძელდეს. ჩუტყვავილას სეზონურობა კი არ აქვს – ციკლურობა ახასიათებს. ერთი წელი მოიმატებს ძალიან, მერე ერთი-ორი წელიწადი ნაკლები შეიძლება იყოს. ეს არის ჩუტყვავილას ეპიდემია. ჩუტყვავილა არის, ბევრია, მაგრამ ეს არის ჩვეულებრივი ამბავი. ჩუტყვავილა ყოველ მესამე წელიწადს არის ხოლმე ძალიან ბევრი. ჩვეულებრივ ერთი წელია მატების პერიოდი.



ჩუტყვავილას აცრას რომ დაიწყებ, თუ პირველივე წელიწადს 80% არ აცერი, ვისაც ჩუტყვავილა გადატანილი არ აქვს, ავადობა პატარა ბავშვებიდან მოზრდილებში გადაინაცვლებს. ამის გამო მეტი მსხვერპლი იქნება, რადგან იქ მძიმედ მიმდინარეობს. ჩვეულებრივ ბავშვების აბსოლუტური უმრავლესობა ყოველგვარი პრობლემის გარეშე ჩუტყვავილას გადაიტანს. გართულება იმ შემთხვევაში ხდება, თუ ბავშვი არის იმუნოდეფიციტური. ამიტომ ჩუტყვავილას პროფილაქტიკა, აცრები რომ დავიწყოთ, თუ ყველა არ ავცერით, მაშინ ჩუტყვავილა გადაინაცვლებს იმ პირებში, ვისაც ჩუტყვავილა გადატანილი არ აქვს, იქ კი უკვე ძალიან მძიმე შედეგები გვექნება.

საქართველოში როგორია ვაქცინის პროცესი? – პაპილომა ვირუსზე ვაქცინაცია დაწყებული გვაქვს, მაგრამ ხალხი არ იცრება, ამიტომ ადვილი არ არის. ვინც არ იცის და ამბობს, რომ რატომ არ არის ვაქცინაცია, რა თქმა უნდა, ვაქცინაცია დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში არის, ჩვენთანაც არის, ოღონდ მარტო კერძო სექტორში.

ბავშვებში ძალიან იშვიათობაა მძიმედ მიმდინარე ჩუტყვავილა. მოზრდილებში შეიძლება მძიმედ წავიდეს, ამიტომ ექიმთან დროულად მიმართვაა საჭირო, რომ ანტივირუსული პრეპარატები დაინიშნოს. საბედნიეროდ, ასეთი პაციენტი უკიდურესად იშვიათია, – განაცხადა იმნაძემ.

# გიორგი ბოტკოველი: „ივანიშვილის ინტერესია, აკონტროლებდეს ყველა იმ სფეროს, სადაც იშოვის მეტ ფულს და მოსახლეობას ბოლომდე გაალარიბებს“

– ბიძინა ივანიშვილის ინტერესი ეროვნული ბანკისადმი არის მხოლოდ ერთი რამით განპირობებული – მას უნდა, აკონტროლებდეს ყველა იმ სფეროს, სადაც იშოვის უფრო მეტ ფულს და მოსახლეობას გაალარიბებს ბოლომდე, – ასე გამოეხმაურა გიორგი ბოტკოველი „ქართული ოცნების“ განცხადებას ეროვნული ბანკის წევრის არჩევასთან დაკავშირებით.

გიორგი ბოტკოველის განცხადებით, ბიძინა ივანიშვილი ერთადერთი რამით არის დაკავებული – „როგორმე გამდიდრდეს და გაალარიბოს საქართველო“.

– ერთ-ერთი და მთავარი ინტერესის წყარო ბიძინა ივანიშვილისთვის არის ადგილი, სადაც შეიძლება ფული იშოვოს, მისი ინტერესი არასდროს ყოფილა, რომ დახმარებოდა ქვეყანას და ამ ქვეყანას წარმატება ჰქონოდა, ან ის დაპირებები, რითაც მოატყუა სრულიად საქართველოს მოსახლეობა. მისი ინტერესი იქნება მუდმივად ეროვნული ბანკი, მისი ინტერესი იქნება ყველა ის სფერო, სადაც ფული ტრიალებს, რომ შემდეგ უკვე ხელისუფლებამ ნებისმიერი მანიპულირებისთვის გამოიყენოს, თუნდაც ის კურსი, რომელსაც როგორც უნდათ ისე ათამაშებენ და ისე მიმართავენ სახელმწიფო რეზერვებს. ივანიშვილი ერთადერთი რამით არის დაკავებული – როგორმე გამდიდრდეს და გაალარიბოს ბოლომდე საქართველო, – განაცხადა გიორგი ბოტკოველმა.



ამასთან, ბოტკოველის განცხადებით, ნაციონალური მოძრაობა მთავარი ოპოზიციური ძალაა, „ამას ადასტურებს ფაქტები, შედეგები და, თუ ვინმეს წარმოუდგენია, რომ დღეს ნაციონალური მოძრაობის გარეშე შეიძლება რუსი ბიძინა ივანიშვილის დამარცხება, ეს წარმოდგენები საკუთარი თავისთვის დაიტოვონ“.

როგორც ბოტკოველი აღნიშნავს, მიხეილ სააკაშვილი ყოველთვის იქნება მთავარი ფაქტორი ბიძინა ივანიშვილთან ბრძოლაში.

– ძალიან უცნაურია, როცა ნებისმიერ შეთავაზებაზე საუბრობენ საერთო სიაზე, საერთო პოლიტიკური პარტიის არსებობაზე და ა.შ. ჩვენი საერთო პოლიტიკური პარტია უნდა იყოს ერთადერთი რამ – ბრძოლა საქართველოსთვის.

ჩვენ სიას არავის ვთავაზობთ, ვთავაზობთ საერთო პასუხისმგებლობას, რომელი პასუხისმგებლობაც უნდა გაიზიაროს ყველა პოლიტიკურმა ძალამ.

რაც შეეხება ნაციონალური მოძრაობის მთავარ ოპოზიციურ ძალად არსებობას, ამას ადასტურებს ფაქტები, შედეგები, ყველაფერი და, თუ ვინმეს წარმოუდგენია, რომ დღეს ნაციონალური მოძრაობის გარეშე შეიძლება ხელისუფლებისა და რუსი ბიძინა ივანიშვილის დამარცხება, ეს წარმოდგენები შეიძლება საკუთარი თავისთვის დაიტოვონ.

რაც შეეხება მიშა სააკაშვილის ფაქტორს, რა თქმა უნდა, ის ყოველთვის იქნება მთავარი ფაქტორი ბიძინა ივანიშვილთან ბრძოლაში დამარცხების, – აღნიშნა გიორგი ბოტკოველმა.

აღნიშნულ ინფორმაციას პარტიის პრესსამსახური ავრცელებს.

# ირაკლი ღარიბაშვილი სამხრეთ კავკასიაში მსოფლიო ბანკის ახალ რეგიონულ დირექტორს შეხვდა



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სამხრეთ კავკასიაში მსოფლიო ბანკის ახალ რეგიონულ დირექტორს როლანდ პრაისს შეხვდა, რომელიც საქმიანობას ოფიციალურად 1-ელი სექტემბრიდან შეუდგება. შეხვედრას ასევე ესწრებოდა მსოფლიო ბანკის მოქმედი რეგიონული დირექტორი სებასტიან მოლინეუსი, რომელიც ამ პოზიციაზე თავის ოთხწლიან საქმიანობას ივნისის ბოლოს დაასრულებს.

მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ირაკლი ღარიბაშვილმა როლანდ პრაისს ახალ თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა, სებასტიან მოლინეუსს კი საქართველოს მთავრობასთან ეფექტიანი და ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა. პრემიერ-მინისტრმა როლანდ პრაისსა და სებასტიან მოლინეუსს მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

– შეხვედრაზე საქართველოს მთავრობასა და მსოფლიო ბანკს შორის არსებული თანამშრომლობის დინამიკა მიმოიხილეს. პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს განვითარებაში მსოფლიო ბანკის მიერ შეტანილ მნიშვნელოვან წვლილს. აღინიშნა, რომ სამი ათწლეულის განმავლობაში მსოფლიო ბანკმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში, ზრდასა და მოდერნიზაციაში, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

მსოფლიო ბანკის ამჟამინდელი პორტფელი **15** აქტიური ინვესტიციისგან შედგება და, საერთო ჯამში, **1.5** მილიარდი აშშ დოლარია.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე არსებული თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებისა და გაფართოების პერსპექტივებზე იმსჯელეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „კონტრშეტევის აქტიური ფაზის დროს რუსების სარაკეტო დარტყმები შეჩერდება“

## „რუსეთის ახლანდელი სამხედრო ხელმძღვანელობა უკრაინას აწყობს. მას პუტინი არც შეცვლის“

მარიამ მჭედლიშვილი




ოკუპანტის მიერ კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის აფეთქებამ უკრაინას დიდი ზიანის მიაყენა, თუმცა ამას უკრაინის შეიარაღებული ძალების კონტრშეტევითი გეგმები არ შეუცვლია. რუსეთისთვის თავისტკივილად გადაიქცა უკრაინის საზღვართან, რუსეთის ტერიტორიაზე განვითარებული საბრძოლო მოქმედებები, რისთვისაც კრემლს ფრონტიდან მოუხდება დამატებითი ძალების გადასროლა. ბელგოროდის ოლქსა და მიმდებარედ რუსეთის ჯარებს უპირისპირდებიან „რუსული მოხალისეთა კორპუსი“ და ლეგიონი „თავისუფლება რუსეთს“. პირველში შედიან რუსული წარმოშობის ნეონაცისტები, მეორეში – რუსი ტყვეები და მოხალისეები. ორივე დაჯგუფება 2022 წელს შეიქმნა და უკრაინის მხარეს იბრძვის. მათ საბრძოლო მოქმედებებსა და სხვა საკითხებზე უკრაინულ მედიას ესაუბრა უკრაინული სამხედრო ექსპერტი მიხეილ სამუსი.

***– ბელგოროდის ოლქში ბრძოლებს აწარმოებენ რუსული მოხალისეთა კორპუსი და თავისუფალი რუსეთის ლეგიონი. როგორ შეაფასებთ ასეთი მოქმედებების შემდგომ პერსპექტივებს?***

– ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა რესურსები აქვთ მათ და რა ამოცანებს ისახავენ – ახალი ტერიტორიების ათვისება უნდათ თუ პუტინის რეჟიმის დანგრევა.

***– წონიან გამარჯვებას თუ მოიპოვებენ პირობითად, ბელგოროდსა და სხვა დიდ ქალაქებში თუ შევლენ, შეიძლება თუ არა, ამან ააგოროს გარკვეული შიდა პროცესები რუსეთში?***

– არა მგონია. რუსები არ არიან მზად შიდა პროცესების გასაშვებად. ალბათ, პრიგოჟინი ჩაუდგება სათავეში საპროტესტო განწყობებს და მათ გადახარშავს. არ მჯერა, რომ რუსები დემოკრატიულ რევოლუციას მოაწყობენ. იქ საამისოდ არავითარი საფუძველი არ არსებობს. რეგიონული ელიტებიც ვერ უხელმძღვანელებენ სეპარატისტულ მოძრაობებს – ისინი გაანადგურეს.

***– არყევს თუ არა კრემლის კოშკებს უკრაინის საზღვართან მიმდინარე მოვლენები?***

– არა, ვერ არყევს. რასაკვირველია, უკრაინას ამისგან აქვს სარგებელი: რუსეთი იძულებული იქნება, მოხსნას ჯარები ფრონტიდან და მიავლინოს რუსეთ-უკრაინის საზღვარზე. საუბარია ათეულობით ათას სამხედროზე, რომლებმაც უნდა ჩაკეტონ „გამჭვირვალე“ საზღვარი. ამ თვალსაზრისით ნებისმიერი წარმატება ბელგოროდის ოლქში (შესაძლოა, ფრონტი ბრიანსკშიც გაიხსნას) ჩვენთვის ხელსაყრელია ზაფხულის კონტრშეტევითი ოპერაციის მომზადების ფონზე.

***– საიდან შეიძლება გადმოისროლონ რუსებმა ჯარები?***

– ნებისმიერი მიმართულებიდან.

***– ესე იგი რომელიმე ერთ ფლანგს არ მიატოვებენ?***

– რასაკვირველია, ისინი არ წამოიყვანენ 10 ათას კაცს ფრონტის პირველი ხაზიდან ბელგოროდის ოლქში. ისინი ხალხს მოავლენენ მეორე და მესამე ხაზებიდან. ესეც მათთვის ნაკლებად ეფექტური იქნება.



***– ბევრს საუბრობენ შესაძლო საკადრო გადაადგილებებზე რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობაში. შოიგუს გაშვებაზეც. ეს შესაძლებელია?***

– ამას ნეგატიურად ვუყურებ. ჩვენ ეს არ გვაწყობს, იმიტომ, რომ შოიგუ ყველაფერს ისე აკეთებს, როგორც სჭირდება უკრაინას. ის უზარმაზარ ზიანს აყენებს რუსეთს. რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობაში არიან აბსოლუტურად კორუმპირებული ადამიანები, რომლებიც ჩამოყალიბდნენ 30 წლის განმავლობაში. ჩვენთვის უკეთესია, თუ ისინი რაც შეიძლება დიდხანს დარჩებიან თანამდებობებზე. ყველა საუბარი ამგვარ საკადრო ცვლილებებზე ილუზიაა. ეს ისეთივე ილუზიაა, როგორც იმის თქმა, რომ მოვა ნავალნი და რუსეთში წესრიგს დაამყარებს. პუტინს არავის შეცვლა არ სჭირდება. მას ჰყავს თავისი გუნდი და ის, როგორც დაკომპლექსებული „კაგებეშნიკი“, დიდი გულისყურით ეკიდება საკადრო შემადგენლობას.

***– როგორც ადრე აღნიშნეთ, რუსეთს რაკეტების სიმწირე აქვს. შეუძლია თუ არა რუსეთს, გარკვეულ ხანს გაჩერდეს და დაიწყოს მათი ხელახალი შეგროვება?***

– მათ აქვთ იმის ილუზია, რომ სარაკეტო დარტყმებით დააბრკოლებენ მზადებას უკრაინული კონტრშეტევისათვის. აქტიურ ფაზამდე რუსები მაქსიმალურად გამოიყენებენ თავიანთ სარაკეტო პოტენციალს, ეცდებიან, დაძაბულობაში გვამყოფონ. როგორც კი დაიწყება აქტიური ფაზა, ისინი დარტყმებს შეწყვეტენ. იმ დროს სხვა საზრუნავი ექნებათ.

# გიგი წერეთელი: „მოლაპარაკება შედგება მაშინ, როცა რუსეთი გაიყვანს ჯარებს“



– მოლაპარაკება შედგება მაშინ, როცა რუსეთი გაიყვანს ჯარებს და უკრაინის დეოკუპაციას მოახდენს. ამ ტიპის გზავნილები, რომელიც გვესმის საქართველოს ხელისუფლებისგან, პრაქტიკულად არის ზუსტად იგივე შინაარსის, რასაც რუსეთის პროპაგანდა ლაპარაკობს, – ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ პოლიტსაბჭოს თავმჯდომარემ, გიგი წერეთელმა განაცხადა, რითაც პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის მიერ რუსეთ-უკრაინის ომზე გაკეთებულ განცხადებას გამოეხმაურა.

როგორც გიგი წერეთელმა აღნიშნა, ის, რაც უკრაინაში ხდება, თუნდაც ბოლო მოვლენა – კაშხლის აფეთქება, მიანიშნებს, თუ რამდენად აგრესიულია ომი, რომელსაც რუსეთი აწარმოებს, თუმცა სურათის დახატვა, თითქოს უკრაინა ნადგურდება და ამაში რაღაცით უკრაინაა დამნაშავე, ზუსტად თანხვედრაშია რუსულ პროპაგანდასთან.

– რა თქმა უნდა, ისევე, როგორც ყველა ომი, ეს ომიც მოლაპარაკებებით უნდა დასრულდეს და ყველას სურს ეს, ოღონდ არა იმგვარად, როგორც რუსეთი ამბობს. ისინიც აცხადებენ მოლაპარაკებების სურვილს, ოღონდ ამის შედეგად სურთ, რომ დაისაკუთრონ ტერიტორიები და რაღაცნაირად მათ მიერ განხორციელებული ოკუპაციის ლეგალიზაცია მოახდინონ.

ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში მოლაპარაკება ვერ შედგება, მოლაპარაკება შედგება მაშინ, როცა ის გაიყვანს ჯარებს და უკრაინის დეოკუპაციას მოახდენს. იმ ტიპის გზავნილები, რომელიც გვესმის საქართველოს ხელისუფლებისგან, პრაქტიკულად არის ზუსტად იგივე შინაარსის, რასაც რუსეთის პროპაგანდა ლაპარაკობს, – განაცხადა გიგი წერეთელმა.

# გია ვოლსკი კახოვკის ჰესის აფეთქებაზე – „მომხდარს ტერორისტული აქტი რომ დაარქვა, ამაზე გარკვეული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს“



– მომხდარს ტერორისტული აქტი რომ დაარქვა, ამაზე გარკვეული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს და არა ემოციური წამოძახება, – ასე უპასუხა პარლამენტის პირველმა ვიცესპიკერმა გია ვოლსკიმ კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის კაშხლის აფეთქების შესახებ დასმულ შეკითხვას.

ვოლსკიმ აქვე აღნიშნა, რომ ეს საშინელი აგრესიის აქტია, რომელიც ყველანაირ ჰუმანურ თუ სამხედრო წესების სტანდარტს არის მოწყვეტილი.

ვოლსკიმ დასძინა ისიც, რომ აქედან გამომდინარე საქართველომ სხვა ქვეყნებთან ერთად ჰააგის ტრიბუნალს მიმართა, „რაც, სხვათა შორის, მოლდოვას არ გაუკეთებია“.

– ამ თემაზე განცხადება პარლამენტის თავმჯდომარემ გააკეთა. არა მგონია, არსებობდეს ვინმე, ვისაც ამ განცხადების საწინააღმდეგო აზრი აქვს. ჩვენი დამოკიდებულება გამოხატულია არა მხოლოდ ამ განცხადებაში, არამედ გამოიხატა მაშინ, როცა ქვეყნების ჯგუფმა რუსეთის აგრესიაზე ჰააგის ტრიბუნალს მიმართა, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

# ბახმუტისათვის ბრძოლები გრძელდება



როგორც ცნობილია, ბახმუტში უკრაინული არმია შეიჭრა. რუსეთის ჯარი უკან იხევს. უკრაინელებმა კიდევ რამდენიმე ქუჩაზე დაამყარეს კონტროლი.

პარალელურად გრძელდება უკრაინელთა წინსვლა ბახმუტის ახლოს მდებარე სტრატეგიული სიმაღლეების მიმართულებით. უკრაინელებმა რიგი სიმაღლის აღება შეძლეს. ამან უკრაინული არმიის პოზიციები კიდევ უფრო განამტკიცა.

– ბახმუტის აღების ოპერაცია ერთი წლის განმავლობაში გრძელდებოდა. ახლა რუსეთის არმიამ „ვაგნერის“ მიერ მოპოვებული ყველა პოზიცია დაკარგა! თუ ასე გაგრძელდა, ბახმუტს ერთი თვის განმავლობაში დავკარგავთ! – აცხადებს „ვაგნერელთა“ თავკაცი პრიგოჟინი.

უკრაინის დანარჩენ ტერიტორიაზე ბრძოლები გრძელდება. მათი ეპიცენტრი კვლავაც დონბასია. ახლა ინიციატივას უკრაინელები ფლობენ. ავდეევკასა და მარინკას დაემატა ახალი ცხელი წერტილები. ესენია: უგლედარი, ნოვოდონეცკი, ოპიტნოე, გრანიტნოე.

უკრაინულმა არმიამ დაიკავა ნოვოდონეცკი. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაცია ნოვოდონეცკის დაბრუნების თაობაზე სიცრუეა:

– ესაა მოსკოვის მორიგი დეზინფორმაცია, – იტყობინება აშშ-ის ომის შემსწავლელი ინსტიტუტი.

ზაპოროჟიეს ოლქში უკრაინელებმა გაათავისუფლეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი. დაიწყო ხერსონსჩინის გათავისუფლება. ამ დროს აფეთქდა კახოვკის ჰესი.

ჰესის აფეთქების შედეგად დაიტბორა რიგი დასახლებული პუნქტი. საფრთხე შეექმნათ კახოვკის ჰესის გარშემო მდებარე ხელოვნური ტყე-პარკის ცხოველებს. ეკოლოგიური კატასტროფის საშიშროება იზრდება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# შალვა პაპუაშვილი: „დროა, ევროკავშირმა საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებით გრძელვადიან მშვიდობაზე იზრუნოს“



– დღეს არის საუკეთესო დრო, რათა ჩვენი დასავლელი პარტნიორები დაგვეხმარონ უსაფრთხოების გარემოსთან გამკლავებასა და ნატოსა და ევროკავშირში დამსახურებულ წევრობაში. უკვე 15 წელია, ბურთი ევროკავშირისა და ნატოს მოედანზეა, – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის საგარეო საქმეთა კომიტეტის მოსმენაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მისივე თქმით, დროა, ევროკავშირმა წელს საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებითა და ევროკავშირში გაწევრიანების მოლაპარაკებების დაწყების გზით გრძელვადიან მშვიდობაზე იზრუნოს.

– როგორც ტრანზიციაში მყოფი ქვეყანა, რომელიც ძლიერ, მედეგ და დემოკრატიულ საზოგადოებას აშენებს, საქართველო ჯერაც გამოწვევების წინაშე დგას. თუმცა, დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ფრანგი და სხვა მეგობრების მხარდაჭერით შევძლებთ ამ სირთულეების გადალახვასა და ჩვენი ხედვის განხორციელებას მშვიდობიანი მომავლისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

დღეს არის საუკეთესო დრო, რათა ჩვენი დასავლელი პარტნიორები დაგვეხმარონ უსაფრთხოების გარემოსთან გამკლავებასა და ნატოსა და ევროკავშირში დამსახურებულ წევრობაში. უკვე 15 წელია, ბურთი ევროკავშირისა და ნატოს მოედანზეა. პრეზიდენტი მაკრონი ევროპული მიზნების გამორჩეული მხარდამჭერია. დროა, ევროკავშირმა იზრუნოს გრძელვადიან მშვიდობაზე წელს საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებითა და ევროკავშირში გაწევრიანების მოლაპარაკებების დაწყების გზით.

ჩვენს ორ სახელმწიფოს საერთო ისტორიისა და კულტურის საინტერესო პერიოდები აკავშირებდა. დღეს კი ჩვენ ვერთიანდებით დემოკრატიისა და ევროპული მომავლის საერთო მიზნებით. ღმერთი ფარავდეს ამ ქართულ-ფრანგულ ურთიერთობებს. დაე, კიდევ მრავალი ათწლეული ვითარდებოდეს ჩვენი პარტნიორობა, – განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

# ბათუმში მშენებლობიდან გადმოვარდნილი მძიმე ნივთები ახალგაზრდა კაცს დაეცა



ბათუმში მშენებლობიდან გადმოვარდნილი მძიმე ნივთები ახალგაზრდა კაცს დაეცა.

ამის შესახებ ადგილობრივ ტელეკომპანია TV25-ს თვითმხილველებმა განუცხადეს. მათი თქმით, მშენებლობიდან დაახლოებით 30 არმატურა ჩამოცვივდა.

არსებული ინფორმაციით, დაშავებული ბათუმის სამედიცინო ცენტრშია გადაყვანილი და მისი მდგომარეობა სტაბილურია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაკავებულია 15 პირი თბილისსა და რეგიონებში, ამოღებულია უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისსა და რეგიონებში უკანონო იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით 15 პირია დაკავებული.

დანაშაული 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველოს და ამავე მთავარი სამმართველოს ძებნის სამმართველოს თანამშრომლების მიერ ჩატარებული ოპერატიულ სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1980 წელს დაბადებული გ.გ. დააკავეს. სამართალდამცველებმა გ.გ.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ნივთმტკიცებად ამოიღეს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ხმის ჩამხშობი მაყუჩი, მჭიდი და 23 ვაზნა.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოსა და დეტექტივების მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, 2000 წელს დაბადებული მ.კ. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს. პოლიციამ მ.კ.-ს პირადი ჩხრეკის შედეგად ნივთმტკიცებად ამოიღო ცეცხლსასროლი პისტოლეტი, მჭიდი და 16 ვაზნა. გურიის პოლიციის დეპარტამენტის ოზურგეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 1964 წელს დაბადებული კ.ბ. დააკავეს, რომლის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას 2 ცეცხლსასროლი იარაღი, 4 მჭიდი და 35 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს. ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის მარნეულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, 2004 წელს დაბადებული ა.მ. დააკავეს. სამართალდამცველებმა ბრალდებულის პირადი ჩხრეკის შედეგად ცეცხლსასროლი პისტოლეტი და 5 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს. აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა კი, 1991 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ნ.ა.-ს ბინის ჩხრეკის შედეგად ნივთმტკიცების სახით ამოიღეს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და 30 ვაზნა. კახეთის პოლიციის დეპარტამენტის საგარეჯოს, ყვარლისა და გურჯაანის რაიონული სამმართველოების თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამი პირი დააკავეს.



1993 წელს დაბადებული ნ.ს.-ს საცხოვრებელი სახლის და დამხმარე სათავსოების ჩხრეკისას, პოლიციამ ნივთმტკიცებად ამოიღო, 4 ხელყუმბარა და 5 ამფეთქი ფალია. 1991 წელს დაბადებული ვ.ო.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოღებულია ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი. ხოლო, 1967 წელს დაბადებული გ.ნ.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას პოლიციამ გადაჭრილი სანადირო თოფი და 5 ვაზნა ამოიღო. იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის, ცაგერის, თერჯოლის, ზესტაფონის რაიონული სამმართველოებისა და ქუთაისის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 4 პირი დააკავეს. 1979 დაბადებული, წარსულში ნასამართლევი, ნ.ო.-ს პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებულია გადაჭრილი თოფი.

1957 წელს დაბადებული თ.მ.-ის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას პოლიციამ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 5 მჭიდი, 200 საბრძოლო ვაზნა და ხელყუმბარა ნივთმტკიცებად ამოიღო. 1979 წელს დაბადებული მ.მ.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად ნივთმტკიცებად ამოღებულია გადაჭრილი სანადირო თოფი, ცეცხლსასროლი პისტოლეტი და 40 ვაზნა, ხოლო 1983 წელს დაბადებული კ.უ.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად სამართალდამცავების მიერ ნივთმტკიცებად ამოღებულია მაუზერის და მაკაროვის სისტემის ცეცხლსასროლი პისტოლეტები, 2 მჭიდი, 5 ვაზნა და 5 კაფსულ-დეტონატორი. სამეგრელო-ზემო-სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის მესტიის რაიონული სამმართველოების თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 3 პირი – 1963 წელს დაბადებული მ.კ., 1982 წელს დაბადებული მ.ც. და 1969 წელს დაბადებული გ.ჯ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს. სამართალდამცველებმა ბრალდებულების პირადი, ავტომანქანის და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკის შედეგად 3 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 3 მჭიდი, 2 შაშხანა, ტყვიამფრქვევი და 93 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

## წალენჯიხაში პოლიციას თავს დაესხნენ — დაკავებულია სამი ადამიანი




წალენჯიხაში პოლიციელებზე თავდასხმისთვის სამი პირი დააკავეს.

გავრცელებული ინფორმაციით, 6 ივნისს, საღამოს, ბულვარში 10-მდე ახალგაზრდა მთვრალ მდგომარეობაში სკანდირებდა: „ქურდებს სიცოცხლე“, პოლიციის მანქანის გამოჩენის შემდეგ კი მათ სამართალდამცველების შეურაცხყოფა დაიწყეს. პოლიციელებმა თავდაპირველად არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნის გამო ახალგაზრდებს მოუწოდეს დაშლილიყვნენ და შეეწყვიტათ ხმაური, თუმცა შეკრებილები მათ არ დაემორჩილნენ, ადმინისტრაციულად დაკავების დროს კი წინააღმდეგობის გაწევა და მათზე ფიზიკური თავდასხმა ცადეს. არსებული ინფორმაციით, სამართალდამცველებს მცირე დაზიანებები აღენიშნებათ და მათ ექსპერტიზა ჩაუტარდათ.

გამოძიება სსკ-ის 353?-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც პოლიციელზე ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე ანდა საჯარო დაწესებულებაზე თავდასხმას გულისხმობს.

## „ძალიან მძიმე ფსიქიკური პრობლემები აქვს, ფსიქიატრიულ კლინიკაშიც იყო მოთავსებული“



ადვოკატ ლევან მარსაგიშვილის განცხადებით, ახალგაზრდა კაცს, რომელმაც ყოფილი მეუღლე ავტომობილში თოკით გაგუდა და ხევში გადააგდო, ფსიქიკური პრობლემები აქვს.

მისივე განცხადებით, დაკავებული ორი კვირის განმავლობაში ფსიქიატრიულ კლინიკაშიც იყო მოთავსებული და ასევე, სისტემატურად იღებდა ექიმის მიერ დანიშნულ წამლებს.

– ამ ეტაპზე ბრალის აღიარება-არაღიარებასთან დაკავშირებით კომენტარს არ ვაკეთებთ. ერთადერთი, რაც შემიძლია გითხრათ, ის არის, რომ მას აქვს ძალიან მძიმე ფსიქიკური პრობლემები. ფსიქიატრიულ კლინიკაშიც იყო მოთავსებული ორი კვირის განმავლობაში, იქ გადიოდა მკურნალობას და სისტემატურად სვამდა ექიმის მიერ დანიშნულ წამლებს, – განაცხადა ადვოკატმა.

მისივე განცხადებით, მის დაცვის ქვეშ მყოფს ბრალს 7 ივნისს წარუდგენენ.

ცნობისთვის, თბილისში კაცმა ყოფილი ცოლი მანქანაში თოკით გაგუდა და მეორე დღეს ხევში გადააგდო. დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

## რას ყვებიან ყოფილი ქმრის მიერ სასტიკად მოკლული ქალის ოჯახის წევრები



პირველი ინტერვიუ ქმრის მიერ სასტიკად მოკლული ქალის ოჯახთან – ხარაგაულში. „პირველებთან“ მარიტა მაზიაშვილის ახლობლები ყვებიან, რომ ქალი, რომელიც საკუთარმა ქმარმა ჯერ თოკით გაგუდა, შემდეგ კი ცხედარი ხევში გადამალა, სახლიდან სამი დღის წინ გაუჩინარდა. მაშინ, როდესაც 27 წლის გოგოს ოჯახი და მეგობრები ყველგან ეძებდნენ, ქმარი მისი ცხედრის მოშორებას ცდილობდა.

– მთელ ქვეყანას შევძრავდი, ფეხით ჩავიდოდი იქამდე, რომ მცოდნოდა. ქმარმა მოკლა და ხრამში გადააგდო. 9 წელინადი გაცილებულები იყვნენ და, თუ აღარ უნდოდა, რაღას მოკლა. მამამისი შარშან, 5 დეკემბერს მოკვდა, დედამისი ემიგრაციაშია წასული. სახლი ჰქონდათ, ვალი დაედოთ და გაყიდეს. კონფლიქტზე არაფერი ვიცით. 3 წლის ჰყავდათ ბავშვი, რომ გაშორდნენ, – ამბობს გარდაცვლილის ნათესავი.

27 წლის გოგოს კლასელების თქმით, მარიტა მაზიაშვილს ისინი 2 დღის განმავლობაში ეძებდნენ.

– დაიკარგა 2-3 დღეა. კლასელები ყველა ვეძებდით. გავიგე, რომ გლდანის ციხეებთან იპოვეს. 10 წელი გაშორებული იყოო. არც მინახავს აქ მოსული ეს ბიჭი.

საზარელი დანაშაული თბილისში მოხდა – ირკვევა, რომ ქმარმა ცოლი ჯერ გაიტაცა, ავტომობილში გაგუდა, ორი დღის შემდეგ კი ცხედრის გადასამალად სხვა ავტომობილი იქირავა და გვამი გლდანის ხევში დატოვა.

## ვინ არის ოთხი ქართველი, რომლებიც გერმანიაში დააკავეს




გერმანიის ქალაქ ფრანკფურტში 4 ქართველი დააკავეს.

ადგილობრივი მედია წერს, რომ მათ ბინადრობის უფლება არ ჰქონდათ.

ისინი სარემონტო სამუშაოებს ასრულებდნენ.

ქართველების მიმართ გამოძიება უკანონო ბინადრობისა და უკანონო დასაქმების ბრალდებით დაიწყო.

ინფორმაცია ქართველების დაკავების შესახებ პირველმა TV25-მა გაავრცელა.

# ქალეიდოსკოპი

## ბერები დათვრნენ და მონასტრის ქონების გაყიდვა სცადეს



ტაილანდში ალკოჰოლური თრობის მდგომარეობაში მყოფმა ბერებმა ჯაკაპონგმა და ადულმა ტაძრის კუთვნილი ქონების გა[illegible]ვა სცადეს.

ნონგბუალამპხუს პროვინციაში მდებარე მონასტრის ბერებმა ტაძარში დალიეს, მათ ერთ-ერთ ადგილობრივ მცხოვრებს სთხოვეს, მათთვის სპირტიანი სასმელი ეყიდა. იქ მყოფი მრევლის წარმომადგენლებმა შენიშნეს, რომ ბერები მთვრალები იყვნენ და პოლიციას შეატყობინეს. მალე სამართალდამცავებმა კიდევ ერთი შეტყობინება მიიღეს, რომლიდანაც შეიტყვეს, რომ დალევის მოყვარულმა ბერებმა ერთ-ერთ ადგილობრივ მცხოვრებს შესთავაზეს, ტაძრის კუთვნილი უამრავი ნივთი შეეძინა.

ადგილზე მისულმა პოლიციელებმა ბერებს ალკოჰოლზე შემოწმების გავლა მოსთხოვეს, რამაც დაადასტურა, რომ ორივე ალკოჰოლური თრობის მდგომარეობაში იმყოფებოდა. მონასტრის ხელმძღვანელობამ პოლიციის მიერ დაჯარიმებული ბერები ღვთისმსახურებას ჩამოაშორა. პოლიციამ ტაძრის ქონების დატაცების საქმეზე გამოძიება დაიწყო.

## პოპულარული მომღერლის წინააღმდეგ გამოძიება სცენაზე სექსის გამო დაიწყო



პოპულარული ბრაზილიელი მომღერლით, რომელიც სცენაზე ორალური სექსით დაკავდა, ქვეყნის პროკურატურა დაინტერესდა.

MC Pipokinha-ს შემსრულებელი, რომელიც თავისი პროვოკაციული სიმღერებით და გამოსვლებითაა ცნობილი, მორიგი შოუს შემდეგ გამოძიების ობიექტად იქცა. კონცერტის დროს სცენაზე მისი ერთ-ერთი თაყვანისმცემელი აიჭრა და მასთან ორალური სექსით დაკავდა.

აღნიშნული ინციდენტი გახდა ქალაქ სან-პაულოს პროკურატურის მიერ მომღერლის წინააღმდეგ გამოძიების დაწყების საფუძველი. უმთავრესად სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები ინტერესდებიან, ესწრებოდნენ თუ არა კონცერტს ბავშვები და მოზარდები. ბავშვების და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის სახელით პროკურორმა ლუსიანა ბერგამომ საქმის სასამართლო განხილვა დაიწყო. მომღერალს ეცნობა, რომ მას 15 დღე აქვს შოუზე არასრულწლოვანების დასწრების თაობაზე ინფორმაციის მისაწოდებლად.

მომღერლის წინააღმდეგ, რომლის ნამდვილი სახელია დოროთი ჰელენა დე საუსა ალვესი, პროკურატურაში საჩივარი ბრაზილიის საზოგადოებრივი უსაფრთხოების და იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელმა გუტო ზაკარიასმა შეიტანა.

## შიშველმა მამაკაცმა მოტოციკლით გაისეირნა და სასტუმროს თანამშრომლები შეაშინა



ტაილანდელი 31 წლის პხატჯარინ ვარნხუ ბოლომდე გაშიშვლდა, მოტოციკლით გაისეირნა და სასტუმროს თანამშრომლები შეაშინა.

მამაკაცი ჩაჩენგსაუს პროვინციაში მდებარე სასტუმროში 31 მაისს დაბინავდა. იმავე დღის საღამოს კი, ის საკუთარი ნომრიდან შიშველი გამოვიდა, მივიდა ავტოსადგომზე, მოტოციკლზე დაჯდა და სასტუმროს კუთვნილ ტერიტორიაზე გაისეირნა. შემდეგ მან მოტოციკლი ისევ ავტოსადგომზე გააჩერა და ამჯერად უკვე ფეხით გაისეირნა იმავე მდგომარეობაში მყოფმა. სასტუმროს ერთ-ერთი ქალი თანამშრომლის თქმით კი, მამაკაცმა მასთან და მის კოლეგებთან მიირბინა. ქალი შეშინდა და პოლიცია გამოიძახა. ადგილზე მისულმა სამართალდამცავებმა მამაკაცი დაარწმუნეს, ტანსაცმელი ჩაეცვა და იმ პირობით გაუშვეს, რომ ის სასტუმროს დატოვებდა.

მალევე პოლიციისთვის ცნობილი გახდა, რომ ვარნხუმ არეულობა მოაწყო ერთ-ერთ რესტორანში, რის შემდეგაც უაზროდ დაბოდიალობდა ქუჩებში და საკუთარ თავს ელაპარაკებოდა. ასევე პოლიციაში ერთ-ერთი ქალისგან შევიდა შეტყობინება, რომ მამაკაცი მის მანქანას მოტოციკლით აედევნა და ის იძულებული გახდა, მანქანა გაეჩერებინა და დახმარება გამვლელებისთვის ეთხოვა.

საბოლოოდ ვარნხუ პოლიციელებმა დააკავეს და სამედიცინო შემოწმებისთვის საავადმყოფოში გადაიყვანეს. ამ დროისთვის უცნობია მამაკაცი ნარკოტიკული თრობის ქვეშ იმყოფებოდა თუ მას ფსიქიკური პრობლემები აქვს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# კახოვკის ჰესი ააფეთქეს



კახოვკის ჰესის აფეთქებამ მსოფლიო შეძრა. ხერსონის ოლქში ეკოლოგიური კატასტროფის საფრთხე წარმოიქმნა. ბუნებრივია, რომ რუსეთის მედიამ ჰესის აფეთქება ბრალად უკრაინას დასდო. უკრაინის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა გუმენიუკმა ბრალდება უარყო.

აღსანიშნავია, რომ კახოვკის ჰესი უკრაინულ რაკეტას არ აუფეთქებია. ჰესის სამანქანო განყოფილებას ასაფეთქებელი ნივთიერება დაუდეს. განსაზღვრულ მომენტში ის მოქმედებაში მოვიდა და აფეთქებაც მოხდა.

უკრაინელი ექსპერტი სვიტანი ხაზს უსვამს, რომ აფეთქება იმ ტერიტორიაზე მოხდა, რომელსაც რუსი ოკუპანტები იცავდნენ. დაცვა იმდენად ძლიერი იყო, რომ ვერავითარი დივერსანტები იქ ვერ შეაღწევდნენ. ამრიგად, რჩება ერთადერთი ვერსია: კახოვკის ჰესი რუსებმა ააფეთქეს.

კახოვკის ჰესი ნოვაია კახოვკიდან – 5 კმ-ის, ხოლო ხერსონიდან 39 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. მისი აფეთქებით რიგი დასახლებული პუნქტი წყალქვეშ აღმოჩნდა. ჩაძირვის რეალური საფრთხე კიდევ 80 დასახლებულ პუნქტს ემუქრება. ამიტომაც ხერსონის გუბერნატორის მოადგილე სობოლევსკიმ მოსახლეობას მიმართა, რომ იყვნენ ფრთხილად და ყველა ინსტრუქცია დაიცვან.

რა გავლენას იქონიებს კახოვკის ჰესის აფეთქება უკრაინელთა კონტრშეტევაზე? უკრაინული არმიის გენერალი ნაევი აცხადებს, რომ ჰესის აფეთქებით ეკოლოგიური კატასტროფის საფრთხე წარმოიქმნა. რუსეთსაც იმედი აქვს, რომ დასავლეთი გააძლიერებს ზეწოლას უკრაინაზე, რათა საომარი მოქმედებები შეწყვიტოს. ეს მაშინ, როცა ფრონტის რიგ უბანზე უკრაინული არმია შეტევაზე გადავიდა.

სისხლისაგან დაცლილი, არაქათგამოცლილი რუსული ჯარი უძლურია, შეაჩეროს უკრაინელების კონტრიერიში. უკრაინელებმა გაარღვიეს ფრონტი როგორც სამხრეთ დონბასში, ისე ზაპოროჟიეს ოლქი. შედეგად რიგი დასახლებული პუნქტები ოკუპანტებისაგან გათავისუფლებული აღმოჩნდა. უკრაინული არმია წინსვლას განაგრძობს. ასეთ ვითარებაში კახოვკის ჰესი ფეთქდება.

ამას უკრაინის პრეზიდენტი ვლადიმერ ზელენსკიც ეთანხმება. ის აცხადებს, რომ რუსეთი დამარცხების რეალური საშიშროების წინაშე დადგა. ამას რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებული ყალბი ახალი ამბებიც მოწმობს. ამავე დროს, ზელენსკიმ ხაზი გაუსვა იმასაც, რომ კახოვკის ჰესის აფეთქება უკრაინელთა წინსვლას ვერ შეანელებს.

– ჩვენ შეგნებული გვაქვს ერთი რამ: მშვიდობა უკრაინაში მას შემდეგ დამყარდება, როცა უკანასკნელი რუსი ოკუპანტი ჩვენს ტერიტორიას დატოვებს! ჩვენი მიზანიც ესაა! – აცხადებს ზელენსკი.

ამრიგად, კახოვკის ჰესი აფეთქდა. ომი გრძელდება. კიდევ რაზე წავა კუთხეში მიმწყვდეული რუსი ოკუპანტი? დნეპრზე ხომ მრავალი ჰესია!

# თეთრი სახლის განცხადება



თეთრი სახლის წარმომადგენელმა ჯონ კირბიმ განაცხადა, რომ აშშ-მ უკრაინას მისცა ყველაფერი, რათა წარმატებული კონტრშეტევა განხორციელდეს.

## კახოვკის ჰესის აფეთქების შესახებ

თეთრმა სახლმა კახოვკის ჰესის აფეთქების თაობაზე ოფიციალური განცხადება გააკეთა. ის საკმაოდ ფრთხილია.

– კახოვკის ჰესი რუსებმა ააფეთქეს, – თქვა თეთრი სახლის წარმომადგენელმა კირბიმ.

ამავე დროს, მან დაამატა, რომ დანამდვილებით ამის თქმა ჯერ არ შეიძლება.

– ამერიკული მხარე აღნიშნულ საკითხს სწავლობს! ზუსტი ინფორმაცია მაშინ გამოქვეყნდება, როცა ყველა სადაზვერვო ცნობა გასაჯაროვდება, – ამბობს კირბი.

# ზელენსკიმ მთავარსარდლის სხდომა მოიწვია



უკრაინის პრეზიდენტმა ზელკენსკიმ მთავარბანაკის სხდომა მოიწვია. განხილულ იქნა ერთადერთი საკითხი: კახოვკის ჰესის აფეთქება.

ზელენსკიმ განაცხადა, რომ კახოვკის ჰესი რუსმა ოკუპანტებმა ააფეთქეს. მიზანი უკრაინელთა მოსალოდნელი კონტრშეტევის ჩაშლაა.

# დანაკარგები რუსი ოკუპანტების რიგებში



უკრაინის გენშტაბის ცნობით, რუსი ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია:

ტანკები – 3.873; ჯავშნირებული საბრძოლო მანქანები – 7.560; ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვითი საშუალებები – 352; თვითმფრინავები – 314; განადგურებულია 212.039 ოკუპანტი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

## კალეიდოსკოპი

# ზოოპარკიდან გაქცეული წითელი პანდა პროდუქტების მაღაზიაში დაიჭირეს



დიდ ბრიტანეთში წითელი პანდა, სახელად სანდრა, ზოოპარკის ვოლიერიდან გაიქცა და პროდუქტების მაღაზიას ესტუმრა. წითელი პანდა კორნუოლის საგრაფოს ქალაქ ნიუკის ზოოპარკში მიმდინარე წლის მაისის დასაწყისში დააბინავეს, ერთი თვის თავზე კი მან ვოლიერიდან გაქცევა მოახერხა. გარეული ცხოველი ქალაქის ქუჩებში სეირნობის დროს ხილის გამყიდველმა შენიშნა.

– ჩვენმა ერთ-ერთმა თანამშრომელმა ქუჩაში მიმავალი ცხოველი შენიშნა. ის მიხვდა, რომ ის არც კატა იყო და არც ძაღლი და კოლეგებს უხმო, – განაცხადა იმ კომპანიის დირექტორმა რეიჩელ კრეიზმა, რომელსაც პროდუქტების მაღაზია ეკუთვნის.

გამყიდველებმა პანდას მაღაზიაში შეტყუება ვაშლებით მოახერხეს. შემდეგ კი პოლიციაში დარეკეს. დისპეტჩერს, რომელმაც შეტყობინება მიიღო, გაეცინა და შემთხვევის ადგილზე პოლიციის ჯგუფი გაგზავნა. მან ასევე აცნობა ზოოპარკის ხელმძღვანელობას იმის შესახებ, თუ სად იმყოფებოდა მათგან გაქცეული წითელი პანდა.

სამართალდამცავებმა სწრაფად მოახერხეს გაქცეული ცხოველის დაჭერა და ზოოპარკში უვნებლად დააბრუნეს.

# მსოფლიოში უხუცესი კატა 32 წლის გახდა



დიდ ბრიტანეთში მცხოვრები კატა, სახელად როზი, რომელიც შესაძლოა მალე მსოფლიოში ყველაზე ხანდაზმულ კატად აღიარონ, 32 წლის გახდა.

შინაური ცხოველის პატრონმა, ქალაქ ნორიჯის მკვიდრმა 71 წლის ლაილა ბრისეტმა სადღესასწაულოდ იუბილარს ორაგულის ტორტი მოუმზადა. როზის საიუბილეოდ ბრისეტის ნათესავი დაუკავშირდა კომპანიას, რომელიც კატებისთვის საგანგებო თევზის კერძებს ამზადებს. კომპანიამ იუბილარ კატას საჩუქრად ორი ქილა ორაგული გაუგზავნა.

– ჩემი ნათესავი ასევე დაუკავშირდა კიდევ ერთ კომპანიას, რომელმაც ხუთი ფუნტი სტერლინგის სასაჩუქრე ბარათი გამოაგზავნა, ვინაიდან როზი მხოლოდ ორაგულს მიირთმევს, – განაცხადა ბრისეტმა.

ქალმა კნუტი, რომელსაც შემდეგ როზი დაარქვა, 1991 წელს მიიყვანა სახლში. მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ცხოველი მხოლოდ ორჯერ იმყოფებოდა ვეტერინართან: 1990-იან წლებში სტერილიზაციისთვის და 2018 წელს კისტას სამკურნალოდ. ბრისეტის მტკიცებით, თქვენმა შინაურმა ცხოველმა რაც შეიძლება დიდხანს იცოცხლოს, ამისთვის მას ბევრი სიყვარული უნდა აჩუქოთ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## სპორტი

# საქართველოს ნაკრები მზადებას აგრძელებს



საქართველოს ნაკრები 2024 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის უახლოეს ორ შეხვედრას სტუმრად გამართავს. ვილი სანიოლის გუნდი კვიპროსთან (17 ივნისი) და შოტლანდიასთან (20 ივნისი) მატჩებისთვის კვლავ არასრული შემადგენლობით ემზადება.

სანიოლის გუნდმა ვარჯიში გუშინ 11 ფეხბურთელით დაიწყო, დღეს კი ეროვნულ ლიგაში მოთამაშე სამი ფეხბურთელი შეუერთდა – სანდრო ალთუნაშვილი, ვლადიმერ მამუჩაშვილი და ჯიმი ტაბიძე. გუნდთან ერთადაა ლუკა გაგნიძეც.

საქართველოს ნაკრების კიდევ რამდენიმე ლეგიონერი თბილისში უახლოეს დღეებში ჩამოვა.

**ჩვენი გუნდის გაფართოებული შემადგენლობა კი ასეთია:**

**მეკარე:** გიორგი ლორია (ანორთოსისი, კვიპროსი), გიორგი მამარდაშვილი (ვალენსია, ესპანეთი), ლუკა გუგეშაშვილი (ყარაბაღი, აზერბაიჯანი);

**დაცვა:** გურამ კაშია (სლოვანი, სლოვაკეთი), სოლომონ კვერკველია (ნეფთჩი, აზერბაიჯანი), ოთარ კაკაბაძე (კრაკოვი, პოლონეთი), ლუკა ლოჩოშვილი (კრემონეზე, იტალია), გიორგი გველესიანი (პერსეპოლისი, ირანი), ლაშა დვალი (აპოელი, კვიპროსი), ჯიმი ტაბიძე (დინამო თბ), ირაკლი აზაროვი (ცრვენა ზვეზდა, სერბეთი), გიორგი გოჩოლეიშვილი (შახტარი, უკრაინა);

**ნახევარდაცვა:** ნიკა კვეკვესკირი (ლეხი, პოლონეთი) ოთარ კიტეიშვილი (შტურმი, ავსტრია), ვლადიმერ მამუჩაშვილი, სანდრო ალთუნაშვილი (ორივე დინამო ბთ), ლევან შენგელია (პანეთოლიკოსი, საბერძნეთი), ლუკა გაგნიძე (დინამო, რუსეთი), საბა ლობჟანიძე (ქარაგუმრუქი, თურქეთი), გიორგი ჩაკვეტაძე (სლოვანი, სლოვაკეთი), ზურიკო დავითაშვილი (ბორდო, საფრანგეთი);

**თავდასხმა:** გიორგი მიქაუტაძე (მეცი, საფრანგეთი), ხვიჩა კვარაცხელია (ნაპოლი, იტალია), ბუდუ ზივზივაძე (კარლსრუე, გერმანია), გიორგი ქვილითაია (აპოელი, კვიპროსი).

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## საზოგადოება

# პრემია „საბას“ მინიჭება მკითხველსაც შეეძლება



ლიტერატურულმა პრემია „საბამ“ ახალი ნომინაცია დაამატა.

„მკითხველის საბა“ – ასე ეწოდება ნომინაციას, რომელიც ყველას აძლევს შანსს, გახდეს „მკითხველის საბას“ ჟიურის წევრი:

– ლიტერატურულმა პრემია „საბამ“ 2 ლიტერატურული ათწლეული მოილია და ახალში გადასაბიჯებლად ემზადება. 21-ე „საბას“ აღსანიშნავად გადავწყვიტეთ, მკითხველებს განსაკუთრებული შესაძლებლობა მივცეთ და ლიტერატურული დღესასწაულის უშუალო თანამონაწილეებად ვაქციოთ. „საბა“ 2023-ზე ახალი ნომინაცია – „მკითხველის საბა“ დაგვემატა. „მკითხველის საბას“ მფლობელს მკითხველთა 5-წევრიანი ჟიური გამოავლენს. ჟიური იმ ადამიანებისგან დაკომპლექტდება, რომლებმაც სპეციალურ აპლიკაციაში ყველაზე მეტი დრო დაუთმეს კითხვას. ისინი გამარჯვებულს „წლის საუკეთესო დებიუტის“ ნომინაციაში გამოავლენენ. იმისთვის, რომ „მკითხველის საბას“ ჟიურის წევრი გახდე, უნდა აკმაყოფილებდე სულ რამდენიმე კრიტერიუმს: უნდა შეგეძლოს ქართულ ენაზე კითხვა და ამჟამად უნდა ცხოვრობდე საქართველოში; არ უნდა იყო მწერალი ან ლიტერატორი; არ უნდა მუშაობდე საგამომცემლო სექტორში; არ უნდა იყო „წლის საუკეთესო დებიუტის“ ნომინაციაში ნომინირებულის ოჯახის წევრი.

როგორ გამოვლინდება ჟიური წაკითხული დროის დათვლის საშუალებით? საბას აპლიკაციას ახალი ფუნქცია – ტოპ 10 ყველაზე აქტიური მკითხველი დაემატა და ჩვენს გუნდს აქვს შესაძლებლობა დაინახოს, ცალკეული მომხმარებელი რა დროს ატარებს წიგნების წაკითხვასა თუ მოსმენაში კვირის, თვისა და წლის ჭრილში. ამავე ფუნქციას ახალი განყოფილება „მკითხველის საბა“ დაემატება, სადაც თავს მოიყრის თითოეული მკითხველის სტატისტიკა, რომლებიც აპში 8 მაისიდან 9 აგვისტომდე კითხულობდნენ ან უსმენდნენ წიგნებს. სწორედ ამ ფუნქციის დახმარებით გამოვავლენთ 5 ყველაზე აქტიურ მკითხველს, რომლებმაც აღნიშნულ პერიოდში ყველაზე დიდი დრო დაუთმეს ლიტერატურის სამყაროში მოგზაურობას. მსურველის თანხმობა აუცილებელი პირობაა იმისთვის, რომ მის მიერვე წაკითხული დრო საჯარო გახდეს და შეძლო ტოპ 5 მკითხველში მოხვედრა. აპლიკაცია ითვლის მხოლოდ წაკითხვის დროს და არა იმ პერიოდს, როცა აპლიკაცია, უბრალოდ, გახსნილია. თუ ეკრანი ჩაქრება და მომხმარებლის მხრიდან აპში „გადაფურცვლა“ არ ფიქსირდება, აპლიკაცია წყვეტს წუთების დათვლას.

ხმოვანი წიგნების შემთხვევაშიც დრო მხოლოდ წიგნის მოსმენისას დაითვლება, ხოლო თუ ხმოვან წიგნს უსმენ, პერიოდულად აპლიკაცია გთხოვს დადასტურებას, რომ ნამდვილად უსმენ წიგნს, დადასტურებისას დროის ათვლა გრძელდება, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში – წყდება.

თუ საბას აპლიკაციას 2 მოწყობილობით იყენებ, სამართლიანობისათვის, ათვლა ერთ-ერთი მოწყობილობიდან ხდება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ორივე მოწყობილობაზე დაფიქსირდა ერთდროულად კითხვა, ათვლა მხოლოდ ერთი მოწყობილობიდან გაგრძელდება.

„მკითხველის საბას“ ჟიურის 5 წევრის ვინაობას აგვისტოს დასაწყისში გავიგებთ. ჟიური გამარჯვებულს დებიუტის მოკლე სიიდან ხმათა უმრავლესობით გამოავლენს. ტრადიციულად, „საბას“ ჟიურის მსგავსად, გაიმართება მკითხველთა ჟიურის სხდომები. მათი მუშაობის პრინციპებიც იგივეა. მკითხველების ჟიური თავის რჩეულს პრემიას შემოდგომით, „საბა 2023“-ის დაჯილდოების ცერემონიალზე გადასცემს, – ნათქვამია ლიტერატურული პრემია „საბას“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა


# განცხადებები

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების მოგვარება: შეკრულობა (ყაბზობა, სველი და მშრალი კოლიტი), დიარეა, გასტრიტი, დისბაქტერიოზი, ენტერიტი, პარაზიტები, უსიამოვნო სუნი პირიდან. მხოლოდ მცენარეული საშუალებებით. მის: ალმაშენებლის №154. ექიმი – მზია. ტელ: 593 44 58 65.

● მამაკაცებისთვის: პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა და მისგან გამოწვეული პრობლემები (გახშირებული და უნებლიე შარდვა, სუსტი და გაორებული ნაკადი, შეკავება-შეუკავებლობა), ბაქტერიული და სოკოვანი ინფექციები (წვა, ქავილი, ტკივილი). პრობლემების მოგვარება გვერდითი მოვლენების გარეშე გარანტიით. ტელ: 599 25 44 14; 593 44 58 65. მის: ალმაშენებლის №154.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# ევრომასპინძლობისთვის 115 მილიონი ლარი დაიხარჯა

უეფას 21 წლამდე ევროპის ჩემპიონატი საქართველოსა და რუმინეთში 21 ივნისიდან 8 ივლისის ჩათვლით გაიმართება. თამაშები საქართველოს სამ ქალაქში – თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში გაიმართება. ევროპის ჩემპიონატის ფინალურ შეხვედრას, 8 ივლისს, ბათუმი არენა უმასპინძლებს.

ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების ფარგლებში, თბილისსა და ქუთაისში განახლებული ინფრასტრუქტურა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივანთან დავით მუჯირთან, რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრთან ირაკლი ქარსელაძესთან და მუნიციპალური განვითარების ფონდის დირექტორთან დავით ტაბიძესთან ერთად დაათვალიერა.

მესხის სტადიონზე ასევე იმყოფებოდა თბილისის მერი კახა კალაძე, სფფ-ის ვიცეპრეზიდენტი აკაკი ალადაშვილი და სფფ-ის ტექნიკური დირექტორი ზაზა ზამთარაძე, ხოლო შენგელია არენაზე ქუთაისი მუნიციპალიტეტის მერი იოსებ ხახალეიშვილი, სფფ-ის პირველი ვიცეპრეზიდენტი კახა ჭუმბურიძე, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და ვეტერანი ფეხბურთელები.

ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების ფარგლებში, თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა. განახლდა სტადიონის ტრიბუნები, ტაბლო, დამონტაჟდა ლედსარეკლამო ბანერები, მოეწყო გაგრილების, გათბობის, წყალმომარაგების, წყალდინებისა და უსაფრთხოების სისტემები. სტადიონი აღიჭურვა ყველა აუცილებელი სივრცით. მთავარ არენასთან ერთად, სრულად განახლდა მიხეილ მესხის სახელობის სათადარიგო სტადიონი.

სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქუთაისის შენგელია არენას, სადაც თავიდან აშენდა ადმინისტრაციული შენობა, რომელიც სრულად აღჭურვილია სპორტული და აუცილებელი ინფრასტრუქტურით.

როგორც მესხის მთავარ და სათადარიგო სტადიონებზე, ისე შენგელია არენაზე ბალახის საფარის პროექტირების, მოწყობისა და ზედამხედველობის სამუშაოები, ბრიტანულმა კომპანიებმა შეასრულეს.

უეფას 21 წლამდე ევროპის ჩემპიონატის ჩასატარებლად, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ, ქვეყნის მასშტაბით აშენდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 10 ინფრასტრუქტურულ ობიექტს: თბილისის მესხის და პაიჭაძის სტადიონებს, ქუთაისის შენგელია არენას და საწვრთნელ-სათადარიგო სტადიონებს თბილისში, წყალტუბოში, ქობულეთსა და ბათუმში. ჩატარებული სამუშაოების შედეგად, საქართველოს უეფას ყველაზე მაღალი, მეოთხე კატეგორიის მოთხოვნებს ოთხი სტადიონი აკმაყოფილებს, სადაც უმაღლესი დონის საერთაშორისო მატჩების გამართვაა შესაძლებელი.



სტადიონების სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოები რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა შეასრულა, რისთვისაც 115 მილიონი ლარი საქართველოს მთავრობამ გამოყო. სამუშაოები უეფას ჩართულობითა და მონიტორინგით მიმდინარეობდა.

**ირაკლი ღარიბაშვილი:**

– პირველ რიგში, მოგესალმებით ყველას, ძვირფასო, სახელოვანო ვეტერანო სპორტსმენებო, ფეხბურთელებო, პარლამენტის, მთავრობის წევრებო, ყველას მოგესალმებით, მივესალმები ჩვენს ქუთაისსა და ქუთაისელებს.

მოგეხსენებათ, ჩვენ ვემზადებით ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიებისთვის – ეს არის 21 წლამდე ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატი. 21 ივნისს საქართველო-პორტუგალიის თამაში გაიმართება და ჩვენი ქვეყანა არის სრულად მზად, რომ ღირსეულად, უმაღლეს დონეზე ჩავატაროთ ეს ჩემპიონატი. რა თქმა უნდა, ეს ჩვენთვის იყო ძალიან დიდი გამოწვევაც, ამავე დროს არის ძალიან დიდი პატივი, ვუმასპინძლოთ ამ მეტად მნიშვნელოვან ღონისძიებას. ჩვენ სულ რაღაც 1 წელიწადში, უფრო ნაკლებ დროში, ჩავუტარეთ რეაბილიტაცია 10 ობიექტს და თქვენ ნახეთ შესანიშნავი, ახალი, სრულად განახლებული ქუთაისის შენგელიას სახელობის სტადიონი, რომელიც პრაქტიკულად ახლიდან ავაშენეთ. მოეწყო და რეალურად უეფას სტანდარტების მიხედვით გაკეთდა ყველაფერი აქ. მინდა მადლობა გადავუხადო მშენებელ კომპანიას, ყველას, ბატონი ირაკლი ქარსელაძის უწყებას, მუნიციპალური განვითარების ფონდს, ყველას, ვინც ამ ძალიან მნიშვნელოვან პროექტში იყო ჩართული. 10 ობიექტს ჩავუტარეთ რეაბილიტაცია, 115 მილიონი ლარი დაიხარჯა ამ პროექტების განხორციელებისთვის. თბილისში, მე დღეს დილით ვიმყოფებოდი, მოვინახულეთ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი და იქაც, ანალოგიურად, სრულად განახლდა სტადიონი. აქ თქვენ ხედავთ, რომ ეს არის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სტადიონი. 35 მილიონი ლარი დაიხარჯა ამ ყველაფერში, თბილისში 32 მილიონი ლარი დაიხარჯა, თუ არ ვცდები, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის გასაახლებლად და მნიშვნელოვანია, რომ ეს დარჩება ჩვენს ქვეყანას, მომავალ თაობებს. ამას სჭირდება ახლა შენარჩუნება, განვითარება და ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ჩვენმა მომავალმა თაობებმა, ჩვენმა ახალგაზრდებმა გამოიყენონ ეს ყველაფერი.

მინდა მოგილოცოთ, მადლობა გადავუხადო ჩვენს მინისტრს, ირაკლის, ყველას, ვინც ჩართული იყო ამ პროექტის განხორციელებაში. მინდა მადლობა გადავუხადო მშენებელ კომპანია დაგისა და ფეხბურთის ფედერაციას. გილოცავთ, საქართველო არის მზად, რომ ვუმასპინძლოთ ევროპის ჩემპიონატს ფეხბურთში.

პრემიერმა აღნიშნა, რომ ეს არის მხოლოდ დასაწყისი და კიდევ სხვა მასშტაბური პროექტები არის გეგმაში.

– ვიცი ძალიან მდიდარი ტრადიციების შესახებ, რომლებიც არსებობს ამ ქალაქში. ფეხბურთი ძალიან ბევრ რამეს ნიშნავს ჩვენთვის და განსაკუთრებით ქუთაისისთვის. ეს არის მხოლოდ დასაწყისი. ჩვენ კიდევ სხვა მასშტაბური პროექტები გვაქვს გეგმაში. ჩვენ დღეს დავათვალიერებთ ასევე ოლიმპიური სტანდარტების ახალ საცურაო აუზს, რომელიც ჩვენ დაახლოებით 2 წელიწადში დავასრულეთ. მშენებლობა დავიწყეთ 2021 წლის 9 ივნისს და შეგვეძლება, რომ ერთობლივად გავხსნათ ეს ახალი საცურაო აუზი.

სხვა მნიშვნელოვანი პროექტებიც მიმდინარეობს ქუთაისში. განახლებული რეგიონის ფარგლებში, ჩვენ ჩავუტარეთ რეაბილიტაცია ძალიან მნიშვნელოვან ობიექტებს, მაგრამ ახლა ჩვენ ვიწყებთ კიდევ უფრო მასშტაბურ პროექტს – ჩვენი ისტორიული ქუთაისის, ისტორიული უბნების რეაბილიტაციას. 200 მილიონი გვაქვს ჩასმული წელს. გვინდა, რომ 10 ქალაქში დავიწყოთ განახლების სამუშაოები. მიმდინარეობს პროექტზე მუშაობა და წელსვე დავიწყებთ სამუშაოებს.

ასე რომ, ჩვენ ეტაპობრივად ვუვლით ქალაქებს, ვალამაზებთ და გვინდა, რომ ჩვენი სახელმწიფო, ჩვენი ქვეყანა გარდავქმნათ რეალურად ევროპული ტიპის, თანამედროვე, მოვლილ, ლამაზ ქალაქებად, რაიონებად, სოფლებად. ეს არის ჩვენი საერთო მიზანი. რაც მთავარია, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი შეუძლებელი იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო მშვიდობა, მეგობრებო, დამეთანხმებით. მშვიდობა არის მთავარი. ჩვენ ვახერხებთ და შევინარჩუნეთ მშვიდობა, სტაბილურობაც, განვითარებაც გვაქვს, და ეს ყველაფერი, რაც შევძელით, რა თქმა უნდა, არის მშვიდობის დამსახურება და ჩვენი სწორი პოლიტიკის დამსახურება. კიდევ ერთხელ გილოცავთ და გისურვებთ გამარჯვებას. გამარჯვებას ვუსურვებ ჩვენს ფეხბურთელებს, ჩვენს სპორტსმენებს.

# გაგრამ მდგომარეობა გაიუმჯობესა

**შუქურა-სამგურალი 2:2**

**თბილისი. ილია ჯოჯაიას ცენტრი**

1:0 ფაცაცია (33პ), 2:0 სარდალიშვილი (40), 2:1 ნიქაბაძე (57), 2:2 კაგაიამა (73)

**შუქურა:** აბრამიშვილი, ლ.ქურდაძე, ჩაკვეტაძე, კასრაძე (კვარაცხელია 77), ც. ფაცაცია (ანდრონიკაშვილი 63), ჯანელიძე, სარდალიშვილი, გაზდელიანი, ლექვთაძე, მზვაკალი (ს.გელაშვილი 52), მუჯირი



**სამგურალი:** ყალიჩავა, ა.ვერულიძე (კიკაბიძე 46), პარაკაციშვილი, მაისაშვილი, ბული (კაგაიამა 46), ლომინაძე (ჩიხლაძე 46), არტური, ნ.ხორხელი, ჯეფინიო (გომესი 63), კალანდარიშვილი (ჩიხრაძე 72), ნიქაბაძე

ქობულეთელებმა პირველი ტაიმის შვიდწუთიან მონაკვეთში ორჯერ გაიტანეს და ფორით იგებდნენ. ჯერ ცოტნე ფაცაციამ გაიტანა პენალტით, რომელიც მიშიკო სარდალიშვილის წაქცევისთვის დაინიშნა. მერე კი თავად სარდალიშვილმა მშვენივრად შეასრულა საჯარიმო და 2:0.

ფაცაციასთვის ეს მეშვიდე გოლია სეზონში, სარდალიშვილისთვის კი – მეექვსე.

სამგურალმა მაინც მოახერხა გათანაბრება. მეორე ნახევარში ჯერ გიორგი ნიქაბაძემ ახლოდან დარტყმით შეამცირა სხვაობა, მერე კი იაპონელმა ტაიკი კაგაიამამ შორიდან ზუსტად შეასრულა და 2:2.

ისიც დავწეროთ, რომ ნიქაბაძეს 10 გოლი მოუგროვდა.

სამგურალი მესამე ადგილზეა, ხოლო შუქურა ჯერ რჩება ქვედა ზონაში.

**თელავი-გაგრა 0:1**

**თელავი. ჯავჯავაძის არენა**

0:1 მუსელიანი (39)

**თელავი:** ბ.ქურდაძე, რომი, გიგაშვილი (ილურიძე 46), ვ.ფაცაცია, კრისტიანი (ჯიქია 46), ფირანაშვილი (ო.გაგნიძე 78), ვიტინიო (პარკინაშვილი 78), ჟივიძე, აშორტია, ყიფიანი, მბომბო (ლ.კოხრეიძე 46)

**გაგრა:** ვორობეი, ოდიშელიძე (ბუტრიფი 90), გ.ლაცაბიძე, ჯანგიძე, ნემსაძე, სულთანიშვილი (შეწირული 90), შონია (ჟორდანია 68), შუბითიძე, კაკაშვილი, ლომთაძე (პარკაძე 78), მუსელიანი

გაგრამ სტუმრად 1:0 სძლია თელავს. ფორვარდმა ზურაბ მუსელიანმა გაიტანა ეს ერთადერთი გოლი, კონტრშეტევა დაასრულა ზუსტი დარტყმით და სეზონში თავისი მეშვიდე ბურთი მიითვალა.

გაგრამ ამ გამარჯვებით მეშვიდე ადგილი გაიმყარა, თელავი კი ბოლოზეა. ამ ორ გუნდს შორის სხვაობა 6 ქულაა.

აღსანიშნავია, რომ გაგრამ ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო და ორივეჯერ სტუმრად იმარჯვა. ამასთან, უახლოესი კონკურენტები დაამარცხა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 19 | 12 | 6 | 1 | 40-21 | 42 |
| 2.საბურთალო | 19 | 11 | 5 | 3 | 41-21 | 38 |
| 3.სამგურალი | 19 | 11 | 4 | 4 | 32-24 | 37 |
| 4.დინამო (თბ) | 19 | 10 | 4 | 5 | 44-28 | 34 |
| 5.დილა | 19 | 9 | 7 | 3 | 31-17 | 34 |
| 6.ტორპედო | 19 | 6 | 6 | 7 | 17-22 | 24 |
| 7.გაგრა | 19 | 4 | 5 | 10 | 20-32 | 17 |
| 8.შუქურა | 19 | 3 | 4 | 12 | 27-41 | 13 |
| 9.სამტრედია | 19 | 3 | 2 | 14 | 14-35 | 11 |
| 10.თელავი | 19 | 2 | 5 | 12 | 12-37 | 11 |

## შედეგები

**6 ივნისი**

**ფეხბურთი**

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

**ფლეი აუტი**

არმინია-ვისბადენი ........ 1:2

**ნიდერლანდები. ეკერდივიზიონი**

**ფლეი ოფი**

ალმერე-ემენი ........ 2:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

სივასი-ქაისერი ........ 1:1

ქარაგუმრუქი-ქაშიმფაშა ........ 3:0

ბაშაქშეჰირი-ტრაბზონი ........ 3:1

**ჩოგბურთი**

**როლან გაროსი**

**კაცები**

ჯოკოვიჩი-ხაჩანოვი .... 4:6,7:6,6:2,6:4

ალკარასი-ციციპასი ........ 6:2,6:1,7:6

**ქალები**

მუხოვა-პავლუჩენკოვა ........ 7:5,6:2

სვიტოლინა-საბალენკო ........ 4:6,4:6

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება

ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

# სფფ-მ ქუთაისში ახალი ცენტრი გახსნა

ქუთაისში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (სფფ) ტექნიკური ცენტრი გაიხსნა. პირველი ცენტრს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სტუმრობდა, რომელსაც სფფ-ს გენერალურმა მდივანმა დავით მუჯირმა უმასპინძლა.

ახალ ტექნიკურ ცენტრში ასევე იმყოფებოდნენ სფფ-ის პირველი ვიცეპრეზიდენტი კახა ჭუმბურიძე, აღმასრულებელი, საკანონმდებლო, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და ვეტერანი ფეხბურთელები.

ტექნიკურ ცენტრში მოეწყო ორი ხელოვნური და ორი ბუნებრივ საფარიანი მოედანი. ოთხივე მოედანი აღიჭურვა განათების სისტემით, ორ მოედანზე კი მოეწყო ტრიბუნა. აკადემიის ტერიტორიაზე ასევე აშენდა საცხოვრებელი კორპუსი, სადაც გასახდელები, სასადილო, საკონფერენციო, სავარჯიშო და სხვადასხვა ადმინისტრაციული ოთახები მოეწყო.

აღნიშნული ინფრასტრუქტურით სფფ-ს იმერეთის აკადემიის 14 და 15 წლამდე გუნდები ისარგებლებენ. აკადემიის აღსაზრდელების გარდა, კომპლექსის გამოყენება ადგილობრივ საფეხბურთო სკოლებს, მოყვარულთა და ქალთა გუნდებს სრულიად უფასოდ შეეძლებათ. ქალთა და ვაჟთა ასაკობრივი ნაკრები გუნდები კომპლექსს შეკრებებისთვის, საერთაშორისო და ოფიციალური მატჩებისთვის გამოიყენებენ.



სფფ-ს აკადემიის მშენებლობისთვის მიწა ეკონომიკის სამინისტროს ქონების ეროვნული სააგენტოსგან საფეხბურთო ინფრასტრუქტურის მოწყობის ვალდებულებით გადაეცა. აღნიშნული პროექტი ფეხბურთის ფედერაციის, ფიფასა და უეფას პროგრამების დაფინანსებით განხორციელდება.

ქუთაისის ტექნიკური ცენტრი უკვე მეხუთეა, რომელიც სფფ-მ აღნიშნული პროექტის ფარგლებში განახორციელა. ქუთაისის გარდა, საფეხბურთო ცენტრები ლაგოდეხში, რუსთავში, გვიმბალაურსა და რუხში აშენდა.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ბოსნია-ჰერცეგოვინის დედაქალაქი; 2. რომელიმე სიტყვის საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვა; 3. სამთო-სათხილამურო სპორტის ცენტრი სლოვენიაში; 5. მიუნხენში განთავსებული მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ლუდის ბარი; 7. ესპანელი ფერმწერი; 9. სიბერით გამოწვეული დაავადების შემსწავლელი მედიცინის დარგი; 13. საქართველო–აზერბაიჯანის საზღვარზე მდებარე ტბა; 15. სამონასტრო კომპლექსი კახეთში; 16. თურქული აბანო; 18. კანიონი ხონის რაიონში.

**თარაზულად:** 4. რბილი ტყავისძირიანი, ქართველ მამაკაცთა ძველებური ფეხსაცმელი; 6. ფრანგი მწერალი ქალის ჟორჟ სანდის რომანი; 8. კონგრესის შენობა ვაშინგტონში; 10. მოყვარული მოტოციკლეტისტი; 11. ისტორიული სასტუმრო პარიზში; 12. მუნჯი კინოს ამერიკელი კომიკოსი მამაკაცი; 14. კუთხე საქართველოში; 17. მოქანდაკის ხის საჭრეთელი; 19. საწვავის, წყლის ავზები გემზე; 20. ცოცხლად მშობელი თევზი; 21. ადამიანის გარემომცველი ბიოველი; 22. ფრანგული ალუბლის ლიქიორი; 23. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. წუღა; 2. ბენცი; 3. აღაზა; 4. სქური; 5. ოდეონი; 6. ზაკოპანე; 8. ტაიკონავტი; 10. გინეკოლოგი; 11. მარგალიტი; 14. შაგალი; 15. ყურანი; 16. ბამბა.

**თარაზულად:** 1. წურბელა; 4. სქოლიოზი; 7. ღვინო; 9. განგი; 12. ბიკოლა; 13. სიათა; 14. შანიძე; 17. ბაყალი; 18. პროკლამაცია; 19. ღირლიტა; 20. მაკაბი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პარიერი; 2. შტადლერი; 3. გრანიტი; 5. მარიჯანი; 7. ლიქიორი; 9. კონვულსია; 13. რაზდანი; 15. სულიკო; 16. პოპოლო; 18. ატაშე.

**თარაზულად:** 4. სალამური; 6. ავტოჟირი; 8. ჩიბურდანიძე; 10. კვირიკე; 11. ნოტა; 12. არმანი; 14. ისანი; 17. ქლესა; 19. კლონი; 20. ბოტანიკა; 21. ალფა; 22. პოსეიდონი; 23. კეტჩერი.

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

8 ივნისი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6137

ევრო — 2.8001

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2551

100 რუსული რუბლი — 3.2075

## ამინდის პროგნოზი 8 ივნისისათვის




ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფერან ტორესს ბარსელონიდან წასვლა არ სურს



ბარსელონის ფორვარდ ფერან ტორესს გუნდის დატოვება არ სურს და უნდა, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაიმკვიდროს. ტორესის აზრით, მას ამის გაკეთება შეუძლია და შეეცდება, ხავის თავისი შესაძლებლობები ბოლომდე აჩვენოს და დაუმტკიცოს. ტორესის ყიდვა რამდენიმე ინგლისურ კლუბს სურს, მათ შორის არსენალსა და მანჩესტერ იუნაიტედს და ისინი მზად არიან, ამ ტრანსფერში 60 მილიონი გადაიხადონ.

## ანჩელოტი: „რეალი ზაფხულში აუცილებლად გაძლიერდება“



მადრიდის რეალის მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ განაცხადა, რომ ზაფხულში მისი გუნდი აუცილებლად გაძლიერდება და მათ უკვე ჰყავთ რამდენიმე სამიზნე, რომლებზეც უკვე აქტიურად მუშაობენ: „რეალი რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვა და მათ აუცილებლად სჭირდებათ შემცვლელები, ამიტომ ზაფხულში აქტიურები ვიქნებით. რეალში მხოლოდ საუკეთესო ფეხბურთელები თამაშობდნენ და ყოველთვის ასე იქნება“.

## ლაუტარო მარტინესი: „ფინალში შეიძლება ყველაფერი მოხდეს“



მილანის ინტერის არგენტინელმა ფორვარდმა ლაუტარო მარტინესმა განაცხადა, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალში ფავორიტი მანჩესტერ სიტია, მაგრამ მაინც ყველაფერი შეიძლება მოხდეს და ინტერის ჩამოწერა არ შეიძლება: „ინტერმა დაამტკიცა, რომ ჩვენ შეგვიძლია უმაღლეს დონეზე თამაში და, როდესაც მოედანზე გავდივართ, არავის შიში არ გვაქვს. ფინალში სიტი ფავორიტია, მაგრამ ინტერი ბოლომდე იბრძოლებს“.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## თავისუფალი თეატრი სპექტაკლს პარიზში ითამაშებს



თავისუფალი თეატრი 18 ივნისს პარიზში ითამაშებს სპექტაკლს „სამი ჰალსტუხიანი და ანგელოზი“. წარმოდგენა, რომელიც რეჟისორმა ავთანდილ ვარსიმაშვილმა დადგა, მაყურებელში დიდი მოწონებით სარგებლობს.

სპექტაკლი მხოლოდ დღესასწაულის შეგრძნებას ტოვებს მაყურებელში. მასში მონაწილეობენ მსახიობები: ჯაბა კილაძე, ბაჩო ქაჯაია, მამუკა მუმლაძე, თათული ედიშერაშვილი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## ასტროპროგნოზი



8 ივნისისათვის

**ვერძი** – სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. განსაკუთრებით ნაყოფიერი იქნება დღის მეორე ნახევარი. **კურო** – დღეს მოსალოდნელია ძველი, დავიწყებული კავშირების აღდგენა. ემოციებს გასაქანს ნუ მისცემთ. **ტყუპები** – იმედი გიცრუვდებათ. ნებისმიერი კომერციული საქმიანობა ფინანსურად დაგაზარალებთ. **კირჩხიბი** – ნურაფერს დაგეგმავთ. ეცადეთ, ეს დღე მშვიდ გარემოში გაატაროთ. დაკმაყოფილდით იმით, რაც გაქვთ. **ლომი** – კეთილისმყოფელი დღეა. განსაკუთრებით გიმართლებთ პირად ცხოვრებაში. სასიცოცხლო პოტენციალი მძლავრია. **ქალწული** – უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები იღბლიანი იქნება. იღბლიანი დღეა ასევე საყიდლებზე წასასვლელად, სამოგზაუროდ. **სასწორი** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ერიდეთ სარისკო გადაწყვეტილებების მიღებას. ემოციებს ნუ აჰყვებით. **ღრიანკალი** – აქტიური და შემოქმედებითი თვალსაზრისით წარმატებული დღეა. იზრდება თქვენი პიროვნული ხიბლი. **მშვილდოსანი** – ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. ერიდეთ ფუჭ საუბრებსა და შეხვედრებს. ეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ ბუნების წიაღში. **თხის რქა** – მნიშვნელოვანი საქმეების მოსაგვარებლად კეთილისმყოფელი პერიოდია. დღე რაციონალურად დაგეგმეთ. **მერწყული** – ფინანსური პრობლემების მოგვარება დიდ დროსა და ენერგიას წაგართმევთ. საჭიროების შემთხვევაში დახმარებისათვის კომპეტენტურ ადამიანებს მიმართეთ. **თევზები** – ეცადეთ, გარშემომყოფებთან მშვიდი და ჰარმონიული ურთიერთობა შეინარჩუნოთ. დღის მეორე ნახევარში სასიყვარულო ურთიერთობაში გაურკვევლობა იჩენს თავს.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## იუმორი

პაციენტი ექიმს ეუბნება:
– ექიმო, ორ ადგილას მოვიტეხე ფეხი.
– ის ადგილები გახსოვს?
– რა თქმა უნდა.
– ჰოდა, იმ ადგილებს აღარ გაეკარო!

●●●

ქმარი ცოლს ეუბნება:
– მოდი, მრავალფეროვნებისთვის საავადმყოფოს სცენა გავითამაშოთ.
– კარგი.
– შენ ექიმი იქნები, მე ავადმყოფი.
– დავიწყოთ. პოლისი თან გაქვთ?
– არა.
– სამწუხაროდ, პოლისის გარეშე ვერ მიგიღებთ.

●●●

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:
– ქმარს რატომ გაშორდი?
– სექსის გამო.
– რას გულისხმობ, იშვიათად გქონდათ?
– არა, პირიქით, ხშირად, მაგრამ არა ერთდროულად...

●●●

ოფიციანტი მზარეულთან მივიდა და ეუბნება:
– შეხედე იმ კლიენტს, ჭამს, შენ მომზადებულ კერძს მართლა ჭამს!

●●●

საავადმყოფოში ექთანი ახლად შემოყვანილ პაციენტს ეკითხება:
– ცოლიანი ხართ?
– არა, ავტოავარიაში მოვყევი...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ჯგუფი „ირიაო“ 10 წლის იუბილეს რუსთაველის თეატრში აღნიშნავს

რუსთაველის ეროვნული თეატრის დიდ სცენაზე 14 ივნისს ჯგუფი „ირიაო“ 10 წლის იუბილეს აღნიშნავს.

ქართული ეთნოჯაზ ბენდი მეგობრებთან ერთად ცნობილი სიმღერების ახალ ვერსიებს აჟღერებს. კონცერტისთვის მზადება კარგა ხანია დაწყებულია. შემოქმედებითი ჯგუფი მსმენელს არაერთ სასიამოვნო სიახლეს უმზადებს.



## ხატია ბუნიათიშვილი დედა გახდა



პიანისტი ხატია ბუნიათიშვილი დედა გახდა. მისი პატარა საფრანგეთში დაიბადა. სასიხარულო ინფორმაცია ხელოვანმა ქსელში თავად გაავრცელა.

„ცხოვრების სიყვარული დაბადა“ – ასე ახარა დედობა მსოფლიოს პიანისტმა.

ხატიამ ორსულობის შესახებ ინფორმაცია თავის ათასობით გულშემატკივარს ვალენტინობის დღეს ახარა. ახალბედა დედიკომ უამრავი მილოცვა და საუკეთესო სურვილები მიიღო, თუმცა არც პატარას მამის ვინაობა, არც ბავშვის სქესი და არც სახელი ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

## ნუცა ბუზალაძე პირველ სოლოკონცერტს გამართავს



მომღერალი ნუცა ბუზალაძე ამერიკიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგ პირველ სოლოკონცერტს გამართავს.

30 ივნისს იგი მსმენელს ბათუმში შეხვდება:

– „ამერიკის ვარსკვლავის“ შემდეგ გეპატიჟებით ჩემს პირველ სოლოკონცერტზე! 30 ივნისს ბათუმში პირველად გავმართავ ისეთ სოლოკონცერტს, რომელზეც მეც ბავშვობიდან ვოცნებობდი, რომ მქონოდა. გელოდებით ყველას, მიყვარხართ!

## კახი კავსაძე 88 წლის გახდებოდა



თეატრისა და კინოს ცნობილი მსახიობი კახი კავსაძე 88 წლის გახდებოდა. მისი დაბადების დღე უკვე მეორედ აღნიშნეს ოჯახის წევრებმა, კოლეგებმა, მეგობრებმა მსახიობის გარეშე.

ხელოვანის ოჯახი – მისი წინაპრები, მომავალი თაობა – მთლიანად ქართული კულტურის სამსახურში არიან. მამა დათაშკა კავსაძე ბრწყინვალე მომღერალი იყო, ძმა იმერი კავსაძე ოპერის მომღერალია, მეუღლე ბელა მირიანაშვილი – თეატრისა და კინოს ლეგენდარული მსახიობი, შვილები ირაკლი კავსაძე და ნანუკა ხუსკივაძე – მსახიობები არიან...

კახი კავსაძემ მთელი თავისი ცხოვრება ქართულ თეატრსა და კინოს მიუძღვნა და არაერთი დაუვიწყარი კინო თუ თეატრალური გმირი შექმნა. მან მონაწილეობა მიიღო 70-ზე მეტ ფილმში როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ. ინგლისურად ითამაშა ამერიკაში ვაჟა ფშაველას „სტუმარ-მასპინძელში“, იყო „იუმორინას“ უცვლელი წამყვანი გივი ბერიკაშვილთან ერთად, მღეროდა და ხუმრობდა ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის სცენაზე ცნობილ მსახიობებთან და მომღერლებთან ერთად...

იუბილარი მსახიობის კინოდებიუტი შედგა ფილმში „ეთერის სიმღერა“, რომელსაც მოჰყვა თანამშრომლობა ცნობილ რეჟისორებთან და მსახიობებთან. რაც შეეხება თეატრს, მან ბოლომდე რუსთაველის ეროვნულ თეატრს უერთგულა და უამრავი დაუვიწყარი სახე შექმნა. მისი უკანასკნელი სპექტაკლი გოჩა კაპანაძის „მოხუცი ჯამბაზები“ აღმოჩნდა, რომელიც სრული ანშლაგებით მიმდინარეობდა. რაც შეეხება კინოკარიერას, მან კინოში მუშაობა რეჟისორ ლევან კოღუაშვილის ფილმ „მეოთხე ბრაიტონით“ დაასრულა, რომლის პრემიერასაც ველარ მოესწრო.

არაერთი ჯილდოსა და პრემიის მფლობელისთვის ყველაზე დიდი საჩუქარი რიგითი მაყურებლების სიყვარული იყო, რომელსაც ყოველთვის და ყველგან გრძნობდა. მადლიერების ნიშნად მსახიობს მშობლიური რუსთაველის თეატრის წინ სახელობითი ვარსკვლავიც გაუხსნეს.

## მასტერი: „სიყვარული გადაწონის ბოროტებას“



ასე სჯერა რეპერ გიორგი პავლიაშვილს, იმავე მასტერს, რომელსაც ბოლო პერიოდში არაერთი შეურაცხყოფის ატანა მოუხდა:

– ჩემი 18-წლიანი გამოცდილებიდან პატარა რჩევა მინდა მივცე კარგ, მაგრამ ნაკლებად გამოცდილ ადამიანებს. რაც არ უნდა შექმნათ, მნიშვნელობა არა აქვს პროდუქტის ხარისხსა და არსს, მაინც გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც უაზროდ გაგაკრიტიკებენ. მაგალითი რომ ავიღოთ მხატვრობიდან, თუ ხატავთ პეიზაჟებს, ვილაც მწარე კრიტიკას დაგიწერთ, რატომ ხატავ ბუნებას, როცა შეგიძლია, ადამიანები ხატოო, დახატავთ პორტრეტებს და დაგიწერენ, რა უფლებით უცვლი ადამიანებს ნაკვთებსო, დახატავთ ნატურმორტებს და – ხალხი მშიერია და რა გემრიელი სუფრების ხატვა აგიტყდაო, დახატავ ავტოპორტრეტს – ნარცისიზმს დაგაბრალებენ, მიმართავ სიურეალიზმს და – ნარკომანობას. ის ადამიანიც კი, რომელიც გაკრიტიკებდა და მოგიწოდებდა, ამ სისულელეების ხატვას, რაიმე პატრიოტული და ეროვნული დახატეო, არ მოგიწონებს ქვეყნის დროშის დახატვას, აუცილებლად მოუძებნის ნაკლს და ახლა უკვე ფსევდოპატრიოტიზმსა და უნიჭობაში დაგადანაშაულებს.

საქმე ის არის, რომ ყოველთვის აკეთოთ ის საქმე, რომელი გულით გიყვართ. ღირსეულად და დაუღალავად ემსახურო საყვარელ საქმეს, იგივეა, ემსახურო სამშობლოს. ყოველთვის იცოდე, რომ სიყვარული გადაწონის ბოროტებას და იყავი ბედნიერი თუნდაც ერთი ადამიანის გულწრფელი სიტყვების გამო – „იცი, ძალიან მომეწონა შენი ნახატი!“

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 2. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 3. იგავ-არაკთა მამამთავარი; 4. რაიმე ზედაპირის ფართობის ერთეულზე მოქმედი ძალა; 5. ფოტოგრაფის სახელოსნო; 6. სოხუმის აეროპორტი; 8. მწერების შემსწავლელი მეცნიერი; 10. ხელოვნების მუზეუმი ნიუ იორკში; 11. მრავალხმიანი მუსიკალური ნაწარმოების ყველა პარტიის ერთობლიობა; 14. ფრანგული პური; 15. თანამდებობის პირის მოსასყიდად გაღებული თანხა; 16. პოლონეთის ფეხბურთელთა გუნდი.

**თარაზულად:** 1. რაიონული ცენტრი იმერეთში; 4. ბალნეოლოგიური კურორტი იმერეთში; 7. შიშველი, წვეტებიანი კლდე; 9. საპატარძლოსთვის მირთმეული საქორწილო ნიშანი; 12. ქართველი მოგზაური, გინესის რეკორდსმენი; 13. პოპულარული ბაღ-რესტორანი ძველ თბილისში; 14. ბუნებრივი ნაკრძალი ახმეტის რაიონში; 17. ტყვიის შემცველი ოპტიკური მინა; 18. პირობითი, საიდუმლო ნიშნებით შედგენილი ბარათი; 19. პატარა საოქრომჭედლო გრდემლი; 20. კოლონიებში გამდიდრებულ ადამიანთა მეტსახელი ბრიტანეთში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

